ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 16 აგვისტო 2004 №188 (2209) ფასი 50 თეთრი

ATHENS 2004

# ნესტორ ხერგიანი დიდი კაცია! მან გააკეთა ის, რაც აქამდე არ იყო



# ATHENS 2004

ATHENS 2004

## 14-15 აგვისტო

### ორი დღის ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

## ძიუდო

**კაცები**

60 კგ

1 ტადაჰირო ნომურა (იაპონია)
2 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3 მინ ჰო ჩოი (კორეა)
3 ცაგანბაატარ ხაშბაატარი (მონღოლეთი)

66 კგ

1 მასატო უჩიშიბა (იაპონია)
2 იოზეფ კრნაჩი (სლოვაკეთი)
3 გეორგი გეორგიევი (ბულგარეთი)
3 იორდანის არენსიბია (კუბა)

**ქალები**

48 კგ

1 რიოკო ტანი (იაპონია)
2 ფრედერიკ ჟოსინე (საფრანგეთი)
3 იულია მატიასი (გერმანია)
3 ფენგ ჟაო (ჩინეთი)

52 კგ

1 დონგმეი ქსიანი (ჩინეთი)
2 იუკი იოკოსავა (იაპონია)
3 ამარილის სავონი (კუბა)
3 ილსე ჰეილენი (ბელგია)

## სროლა

**კაცები**

**პნევმატური პისტოლეტი. 10 მ.**

1 იიფუ ვანგი (ჩინეთი)
2 მიხაილ ნესტრუევი (რუსეთი)
3 ვლადიმერ ისაკოვი (რუსეთი)

**სტენდი**

1 ალექსეი ალიპოვი (რუსეთი)
2 ჯოვანი პელილო (იტალია)
3 ადამ ველა (ავსტრალია)

**ქალები**

**პნევმატური შაშხანა. 10 მ.**

1 ლი დუ (ჩინეთი)
2 ლიუბოვ გალკინა (რუსეთი)
3 კატერინა კურკოვა (ჩეხეთი)

**პნევმატური პისტოლეტი. 10 მ.**

1 ოლენა კოსტევიჩი (უკრაინა)
2 იასნა სეკარიჩი (სერბეთ-ჩერნიგორია)
3 მარია გროზდევა (ბულგარეთი)

## ცურვა

**კაცები**

**ბრასი. 100 მ.**

| | |
|---|---|
| 1 კოსუკე კიტაჯიმა (იაპონია) | 1წთ 00,08წმ |
| 2 ბრენდან ჰანსემი (აშშ) | 1წთ 00,25წმ |
| 3 ჰიუგე დიუბოსკი (საფრანგეთი) | 1წთ 00,88წმ |

**თავისუფალი. 4X100 მ.**

| | |
|---|---|
| 1 სამხრეთ აფრიკა | 3წთ 13,17წმ |
| 2 ჰოლანდია | 3წთ 14,36წმ |
| 3 აშშ | 3წთ 14,62წმ |

**შერეული. 400 მ.**

| | |
|---|---|
| 1 მაიკლ ფელპსი (აშშ) | 4წთ 8,26წმ |
| 2 ერიკ ვენდტი (აშშ) | 4წთ 11,81წმ |
| 3 ლასლო ცეჰი (უნგრეთი) | 4წთ 12,15წმ |

**თავისუფალი. 400 მ.**

| | |
|---|---|
| 1 იან ტორპი (ავსტრალია) | 3წთ 43,10წმ |
| 2 გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) | 3წთ 43,36წმ |
| 3 კლიტ კელერი (აშშ) | 3წთ 44,11წმ |

**ქალები**

**ბატერფლაი. 100 მ.**

| | |
|---|---|
| 1 პეტრია ტომასი (ავსტრალია) | 57,72წმ |
| 2 ოტილია იედჟეიჩაკი (პოლონეთი) | 57,84წმ |
| 3 ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) | 57,99წმ |

**თავისუფალი. 400 მ.**

| | |
|---|---|
| 1 ლორა მანადუ (საფრანგეთი) | 4წთ 05,34წმ |
| 2 ოტილია იედჟეიჩაკი (პოლონეთი) | 4წთ 05,84წმ |
| 3 კეტლინ სანდენო (აშშ) | 4წთ 06,19წმ |

**შერეული. 400 მ.**

| | |
|---|---|
| 1 იანა კლოჩკოვა (უკრაინა) | 4წთ 34,83წმ |
| 2 კეტლინ სანდენო (აშშ) | 4წთ 34,95წმ |
| 3 ხეორხინა ბარდაჩი (არგენტინა) | 4წთ 37,51წმ |

**თავისუფალი. 4X100 მ.**

| | |
|---|---|
| 1 ავსტრალია | 3წთ 35,94წმ |
| 2 აშშ | 3წთ 36,39წმ |
| 3 ჰოლანდია | 3წთ 37,59წმ |

## წყალში ხტომა

**კაცები**

10 მ. კოშკურა. სინქრონული

| | |
|---|---|
| 1 ჩინეთი (ტიანი-იანი) | 383,88 ქ. |
| 2 დიდი ბრიტანეთი (ვოტერფილდი-ტეილორი) | 371,52ქ. |
| 3 ავსტრალია (ჰელმი-ნიუბერი) | 366,84ქ. |

**ქალები**

3მ. ტრამპლინი. სინქრონული

| | |
|---|---|
| 1 ჩინეთი (ვუ-ჟუო) | 336,90ქ. |
| 2 რუსეთი (ილინა-პახალინა) | 330,84ქ. |
| 3 ავსტრალია (ლაშკო-ნიუბერი) | 309,30ქ. |

## ძალოსნობა

**კაცები**

56 კგ

| | |
|---|---|
| 1 ჰალილ მუთლუ (თურქეთი) | 295 კგ |
| 2 მეიჯინ ვუ (ჩინეთი) | 287 კგ |
| 3 სედათ არტუჩი (თურქეთი) | 280 კგ |

**ქალები**

48 კგ

| | |
|---|---|
| 1 ნურცან ტაილანი (თურქეთი) | 210 კგ |
| 2 ჟუო ლი (ჩინეთი) | 205 კგ |
| 3 არი ვირატჰავორნი (ტაილანდი) | 200 კგ |

53 კგ

| | |
|---|---|
| 1 უდომპორნ პოლსაკი (ტაილანდი) | 222,5 კგ |
| 2 ლისა რაემა რუმბევასი (ინდონეზია) | 210 კგ |
| 3 მაბელ მოსკუერა (კოლუმბია) | 197,5 კგ |

## ფარიკაობა

**კაცები. ხმალი**

1 ალდო მონტანო (იტალია)
2 ზოლტ ნემცსიკი (უნგრეთი)
3 ვლადისლავ ტრეტიაკი (უკრაინა)

**ქალები. დაშნა**

1 ტიმა ნაგი (უნგრეთი)
2 ლორა ფლესელ-კოლოვიჩი (საფრანგეთი)
3 მორენ ნასიმა (საფრანგეთი)

## საგზაო-კეცილი ველორბოლა

**კაცები**

**224,4კმ — 17 წრე**

| | |
|---|---|
| 1 პაოლო ბეტინი (იტალია) | 5სთ 41წთ 44წმ |
| 2 სერჯიო პაულინიუ (პორტუგალია) | 5სთ 41წთ 45წმ |
| 3 აქსელ მერქსი (ბელგია) | 5სთ 41წთ 52წმ |

**ქალები**

**118,8კმ — 9 წრე**

| | |
|---|---|
| 1 სარა კარიგანი (ავსტრალია) | 3სთ 24წთ 24წმ |
| 2 იუდიტ არნდტი (გერმანია) | 3სთ 24წთ 31წმ |
| 3 ოლგა სლიუსარევა (რუსეთი) | 3სთ 25წთ 03წმ |

## მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩინეთი | 5 | 2 | 1 | 8 |
| 2 | ავსტრალია | 4 | 1 | 3 | 8 |
| 3 | იაპონია | 4 | 1 | 0 | 5 |
| 4 | იტალია | 2 | 1 | 0 | 3 |
| 5 | თურქეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 5 | უკრაინა | 2 | 0 | 1 | 3 |
| 7 | აშშ | 1 | 4 | 3 | 8 |
| 8 | რუსეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 9 | საფრანგეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| 10 | უნგრეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 11 | ტაილანდი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 12 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 13 | პოლონეთი | 0 | 2 | 2 | 3 |
| 14 | ჰოლანდია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 15 | გერმანია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 16 | საქართველო | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16 | ბრიტანეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16 | ინდონეზია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16 | პორტუგალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16 | სერბეთ-ჩერნიგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 16 | სლოვაკეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 22 | ბელგია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 22 | ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 22 | კუბა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 25 | არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25 | კოლუმბია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25 | ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25 | კორეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

გიო ახვლედიანის

## ოლიმპიური ჩანაწერი

ოლიმპიადის გახსნის ღამე ათენში დიდებული, ზღაპრული გახსნა იყო. ყველაზე მაგარი, რაც კი აქამდე ყოფილა. ვინც პირდაპირ იმ სტადიონზე ბრძანდებოდა, ალბათ ის უკეთ შეიგრძნობდა მთელს იმ განსაკუთრებულობას და საოცრებას, რაც ბერძნებმა გაითამაშეს მთელი მსოფლიოს თვალწინ, მაგრამ ტელევიზორშიც კარგად ჩანდა, რომ ბერძნებს მოუმზადებიათ ძალიან მაგარი წარმოდგენა: ისეთი, რომლის გათამაშებაც მხოლოდ მათ შეეძლოთ.

ჩვენ ახლა გვარიანად გულნატკენი ვართ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძენ ბერებზე რომლებმაც რუსთაველის ფრესკა გადაჩხაპნეს გიჟური ნერვიულობით იმის თაობაზე, რომ შეიძლება სამყაროში რაიმე არ იყოს ბერძნული. იმათ ქცევას სიმშვიდე და სიბრძნე აკლდა. ჰოდა, იმის თქმა მინდა, რომ რაც ნამდვილად არის ბერძნული კულტურა თავისი ძველი ელინებით და ბიზანტიით, ასე მშვიდად და ჯადოსნურად გათამაშდა „ოლიმპიადის გახსნის ღამეს. მშვიდად და თვალშეუდგამად, გუნმეორებლად კი იმიტომ გათამაშდა, რომ იქ მთავრი იყო კულტურა — მსოფლიოში ყველაზე საოცარი და ურყევი, ჯვრის მონასტერში კი წამყვანი შეიქნა ის, რაც ყოველთვის ებრძოდა კულტურას — შური და სიბნელე. მართლაც რომ წარმოუდგენელია, იმის პატრონს რაც პარასკევ საღამოს გათამაშდა ათენში, სხვისი რა უნდა შეშურდეს. მაგრამ მოხდება ხოლმე ძალიან მწველი და აუტანელი ამბავიც. თქვენი არ ვიცი და ჩემთვის ელადა სწორედ ის იყო, რაც იმ საღამოს ვნახე და არა ვილაც გამოტვინებული მეხაჭნელები. ეს იყო საუკეთესო გახსნა, რაც კი ოლიმპიადებზე გვინახავს. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ქვეყნის უკიდეგანო კულტურა არსად წარმოჩენილა ისე, როგორც ამ გახსნისას.

ჩვენთვის კი ოლიმპიადა ჯილდოთი დაიწყო — ნესტორ ხერგიანმა ძიუდოს ფინალს უწია და იქ იაპონელ ნამურასთან დამარცხდა. მაინც გვარიანი ჯილდოა, რაც უნდა ლაპარაკი. მე კიდევ, შაბათს ნესტორის ორთაბრძოლების ცქერისას გამახსენდა ერთი უზომოდ წესიერი კაცი, აწ გარდაცვლილი მწვრთნელი ანზორ მარგველანი. ყოველთვის სპორტული იერის, საერთოდაც იშვიათი ბუნების ვინმე, უთქმელი და შეუმჩნეველი. თავისი უთქმელობით და წესიერებით ვაკის სტუდქალაქში დაბერებული, მრავალი სამბისტის, მერე კი უფრო ძიუდოისტის გამზრდელი. სულ სხვანაირი, მართლა სულ სხვანაირი კაცი ამ ჩვენს წუწურაქ და ცუცურმულ დროში... ერთხელ სტუდქალაქთან შემხვდა და რომ მოვიკითხე, თავისებური, ძალიან დამალული სიხარულით მითხრა:

— მასახელა ნესტორამ... მასახელა ვიცოდი ეგ...

სულ განათებოდა ის მკაცრი და დაღარული სახე. წინა საღამოს ნესტორ ხერგიანი ევროპის ჩემპიონი გამხდარიყო.

ჰოდა, მე ანზორ მარგველანი გამახსენდა. იმას სხვანაირად გაეხარდებოდა. ნამდვილი იყო, მყესებამდე პატიოსანი და თან ოსტატი.

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



# ბრინჯაოს ხანა დასრულდა
## ხერგიანის ვერცხლმა ორი ოლიმპიადა გადასწონა

*ოლიმპიური თამაშების პირველ დღეს ძიუდოს დარბაზში რომ მოვიყარეთ თავი, ყველანი ნესტორ ხერგიანის შანსებზე კი არ საუბრობდნენ, არამედ ჩოხბურთელ ირაკლი ლაბაძეზე ქირქილებდნენ. ირაკლიმ ხელი მტკივაო და კორტებზე გამოსვლაზე უარი თქვა.*
*ასე იყო თუ ისე, აქ იფიქრეს, რაკი ირაკლი ლაბაძეს საქმე აღარ აქვს, ძიუდოს დარბაზში ნესტორ ხერგიანის ქომაგად ყიჟინას თავის ხმასაც შეაწევსო, მაგრამ ჩვენი ჩოხბურთელი არც ძიუდოს დარბაზში გამოჩენილა*

ძიუდოს დარბაზი, რომელიც მერე მოჭიდავეებს დაეთმობა, სადღაც გარეუბანში, ხრიოკ ადგილზე გაუშენებიათ. იქაურობა ძალზე წააგავს ავჭალას, უფრო ზუსტად იმ ადგილს, სადაც ციხეა. ჰოდა, წარმოიდგინეთ იმ ციხის ადგილზე მშვენიერი სპორტის სასახლე, სადაც ჩრდილს ვერ იპოვით და მზე ასფალტს პლასტელინილივით არბილებს. ამ სასახლეს, ისე როგორც, ავჭალის ციხეს, ხრიოკი მთა-გორაკები გადმოჰყურებს, ქვემოთ კი ყველას თვალი გაგვირბის, იქნებ მოღუღუნე მტკვარი დავინახოთო...

იმ „მტკვარსა“ და სპორტის სასახლეს შუა ზეთისხილის ხეებია. რომელსაც როგორღაც გახუნებული ფერი ადევს, თითქოს ცემენტის მტვერი დაუბერტყიათო.

თქვენ გახუნებული უძახეთ და, მისი ყლორტები მეტად საპატიო რამაა. მათგან გვირგვინებს წნავდნენ და ანტიკური ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ამკობდნენ. ეს ტრადიცია ათენის ოლიმპიურ თამაშებზე „ახალმა“ ბერძნებმა გააცოცხლეს და იმ და ამ თამაშებს შორის თავისებური ხიდი გადეს. წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როცა ოლიმპიადის პირველივე დღეს ზეთისხილის რტოებით დაწნული გვირგვინი ნესტორ ხერგიანმაც დაიდგა თავზე. დაიდგა და, აჰა ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს ხანიდანაც გამოვედითო, ხუმრობენ და ოხუნჯობენ ნესტორის ვერცხლის მედლით გახარებული მისი ქომაგები. სალაღობოდ კი ნამდვილად გვაქვს საქმე, რაკიღა ბრინჯაოზე უკეთესი ხარისხის მედალი ბარსელონის თამაშების მერე არ გვღირსებია.

მას შემდეგ ორი ოლიმპიადა და 12 წელიწადი გავიდა, ნავსი კი ათენში 2004 წლის 14 აგვისტოს გატყდა. ეს ვერცხლი წინა ორ ოლიმპიადაზე მოპოვებული რვა ბრინჯაოზე წონიანია, ასე რომ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სათენო დევიზი — „უკეთ, ვიდრე სიდნეიში!“ უკვე განხორციელდა, მაგრამ როგორც იტყვიან, ჩვენები მიღწეულით დაკმაყოფილებას სულაც არ აპირებენ.

ნესტორ ხერგიანმა ამ ვერცხლისკენ მიმავალი გზა ათენში იაპონელთან შეხვედრით დაიწყო და სხვა იაპონელთან ბრძოლაშივე გაასრულა. და რაკი ხერგიანის გამოსვლები „იმედის“ საშუალებით, იმედია, ყველამ იხილა, მისი ბრძოლების დეტალებს აღარ შევეხები, მაგრამ იმათთვის კი, ვინც იტყვის, ნესტორმა ხომ პირველ შეხვედრაში იაპონელი კი არა, ესპანელს მოუგოო, ვიტყვით — უემაცუ ისეთივე ესპანელია, როგორც ბერძენთა სახელით მოჭიდავე რევაზ ციდირიდისი, ვინაც ამავე წონით კატეგორიაში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

უემაცუს, ეტყობა, ძველ თანამემამულე ნომურასთან არავითარი შანსი არ ჰქონდა და რაკი მისი გადამკიდე ვეღარც ოლიმპიადას ეღირსებოდა და ვეღარც მსოფლიოს ჩემპიონატს, ადგა და ესპანური პასპორტი იშოვა. ესპანეთში ის თავის წონაში ნომერ პირველი გახდა და ოლიმპიადაზეც ჩამოვიდა, მაგრამ ათენში ახლა ჩვენმა ნესტორმა არ გაახარა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა ჩემი აზრით, ნესტორმა დიდი გაჭირვებით მოიგო, ბოლოს თქვა, ფინალამდე ყველაზე მძიმე ბრძოლა მეორე წრეში ყაზახ დონბაისთან მქონდაო.

ძველმა და მომავალმა ჩემპიონმა ნომურამ კი ყველა მეტოქე აქეთ-იქით ტომრებივით ისროლა და ვადამდე დაასრულა შეხვედრები, მათ შორის ერთი სულ რაღაც ცხრა წამში. აი, ხერგიანთან კი ნამდვილად ჭიდაობა მოუწია.

ნესტორს ჩვენები ხმის ჩახლეჩამდე კი ამხნევებდნენ, მაგრამ იაპონელებით გადაჭედილ დარბაზში მათი ხმაშეწყობილი, ორგანიზებული ყიჟინა ქართველებისას ისე ახშობდა, როგორც კომუნისტურ ხანაში „ჩვენი“ კგბ „ამერიკის“ ხმას და „თავისუფლებას“.

ქართველისა და იაპონელის ჭიდაობაზე გამახსენდა იაპონია—საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტ კოჯი ოსავას ნათქვამი, მე იაპონელი ვარ და იაპონელად დავრჩები, ათენში ჩემს თანამემამულეებს ვგულშემატკივრობ, მაგრამ გული ქართველებისკენ მომიწევს და თქვენი ქომაგიც ვიქნებიო. ჰოდა, საწყალი კოჯი ოსავას გული იმ დღეს ხერგიანმა და ნომურამ ორად გაყვეს. მისი გულის გამყოფნი კი მედლებითა და გვირგვინებით შემკობილნი დიდი ამბით საპრესკონფერენციოდ მიაბრძანეს. ჩვენმა ძიუდოისტმა ნომურას ზედიზედ მესამე ოლიმპიური ოქრო მიულოცა, ყველას მადლობა მოახსენა და მერე კულისებში რამდენიმე წუთით ჟურნალისტებთან გააგრძელა საუბარი. ამბობდა, ნომურასთან გამარჯვების შანსი არ მქონდა, მას აქამდე ერთი ბრძოლაც არ დაუთმია, ამ ბიჭის წამქცევი არც არავინ მეგულება და მასთან მოგება მხოლოდ შემთხვევით შეიძლებაო.

ისიც თქვა, ერთ მომენტში თითქოს ხელში მოვიდგე, რაღაც შანსი მომეცა, მაგრამ ისეთი ძლიერია, ისეთი მოხერხებული, რომ დამისხლტაო.

ნესტორის თქმით, მის წონით კატეგორიაში ყველა ადგილი ობიექტურად განაწილდა და ყველამ „თავისი“ ადგილი დაიკავა. ერთგვარი სიურპრიზი მონღოლმა ხაშბაატარ ცაგაანბაატარმა შემოგვთავაზა, რომელმაც ბრინჯაო მოიპოვა.

კითხვაზე, შეჯიბრების დაწყებამდე შენ თვითონ რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობდიო, თქვა — „დარწმუნებული ვიყავი, რომ მედალს მოვიპოვებდი, მაგრამ რომელი ხარისხისა იქნებოდა, ამას ვეღარ ვწინასწარმეტყველებდი. ამ ვერცხლით ძალიან კმაყოფილი ვარ.“

ჩვენი ძიუდოისტების უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა კი გვითხრა — იმ მომზადებით, რაც ნესტორმა გაიარა, მას უთუოდ მედალი უნდა მოეპოვებინა და მოიპოვა კიდევაცო.

ასეთი ლოგიკით ყველა ჩვენმა ძიუდოისტმა მედალი უნდა მოიპოვოს, რაკი ყველანი ერთად და ერთნაირ პირობებში ემზადებოდნენ.

ასეა თუ ისე, იმედია, ათენის „ავჭალურ“ მედალს ძიუდოში კიდევ მოვიპოვებთ, და სხვა ჯილდოებიც „ავჭალური“ იქნება, რაკი ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალა მოჭიდავეების სახით აქ, ამ სარბიელის თალებქვეშ მოიწონებს თავს.






ნესტორ ხერგიანს პირველ დამოუკიდებელ ქართულ ოქრომდე ერთი კაცის ძლევა დაკლდა. სამწუხაროდ ეს ერთი კაცი თვით ტადაჰირო ნომურა იყო

# იპონის იაპონელმა გაფრთხილებით მოგვიგო

**ნესტორ ხერგიანის** ვერცხლით დამშვენებულ ქართულ ოლიმპიურ ყულაბაში თავისი წილი მედლის ჩაგდება გუშინ 66 კილოგრამში მოჭიდავე დავით მარგოშვილსაც შეეძლო, მაგრამ ბრინჯაომდე ერთი გამარჯვებაღა დააკლდა. უკეთესი ხარისხის მედლის შანსი ჩვენებურმა პირველსავე შეხვედრაში დაკარგა ბულგარელ გეორგი გეორგიევთან.

ერთადერთ იმედად მესამე ადგილიღა დარჩა, ოღონდ საამისოდ თავად გეორგიევს უნდა შეეწყო ხელი. ასეც მოხდა, ბულგარელმა მომდევნო მეტოქეს, თურქ ბექთაშ დემირელსაც სძლია და რეპეშაჟში, სანუგეშო ბადეში იგი მარგოშვილს გადმოულოცა. მედლისთვის შემართულმა ქართველმაც გეორგიევის ჯავრი დემირელზე იყარა. მერე ძლიერი ყაზახი მურათბეკ კიპშაკბაევი შემოემარცხა ვაზარით, ხოლო არგენტინელ ხორხე ლენცინას სულაც 44 წამში გაუსწორდა.

ბრინჯაოსთვის მარგოშვილი კუბელ იორდანის არენსიბიას დაუპირისპირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერანაირი წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო. შეხვედრა ნახევარ წუთში დასრულდა კუბელის იპონით.

არენსიბიას მსგავსად, ბრინჯაო ჩამოიკიდა მარგოშვილის პირველმა მძლეველმა გეორგიევმაც, ანუ ორივემ ნახევარფინალში წააგო.

ფინალში კი იაპონელი მარატო უჩიშიბა და სლოვაკი იოზეფ კრნაცი გავიდნენ. ტადაჰირო ნომურას მიერ წინა დღეს გაკვალული ოქროს გზა უჩიშიბამაც უპრობლემოდ განვლო და კრნაცის ბეჭებზე გაკვრაც ორ წუთზე მეტხანს არ გაუჯანჯლებია.

იაპონელთა ასპროცენტიანი შედეგიანობის გაგრძელებას დღეს 73-კილოგრამიანი მასაჰირო ტაკამაცუ შეეცდება, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ვერაფერს გახდება — პირველსავე შეხვედრაში ხომ მისი მეტოქე ჩვენებური დავით ქევხიშვილი უნდა იყოს.

ყველაზე ტკბილი კი ბოლოსთვის მოვიტოვეთ: ნესტორ ხერგიანმა ხუთი შეხვედრა ისე ჩაატარა, ერთი კოკაც არავის გააკეთებინა. თვით ტადაჰირო ნომურასთანაც კი მხოლოდ იმიტომ დამარცხდა ფინალში, რომ ორით მეტჯერ გააფრთხილეს. ძიუდოს კაშკაშა ვარსკვლავმა, აწ უკვე სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მანამდე მოგებულ ოთხ ბრძოლას ერთად დაახარჯა ოთხი წუთი, ქართველს კი ხუთ წუთში ილეთი ვერ გაუკეთა. სამაგიეროდ, იმდენი მაინც შეძლო, ხელ-ფეხი ნესტორისთვისაც შეებორკა.

პირველ დამოუკიდებელ ქართულ ვერცხლამდე კი ნესტორმა ესპანეთის სახელით მოჭიდავე იაპონელი კენჯი უემაცუ, ყაზახი ბაზარბეკ დონბაი, რუსი ევგენი სტანევი და ირანელი ჰაჯი ახონზადე მასუდი დაამწუხრა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

მშვილდოსნობა

# ქართული ისარი ათენს ასცდა


REUTERS ათენიდან

ხათუნა ნარიმანიძე პირველივე ეტაპზე დამარცხდა

**ქართველმა** მშვილდოსანმა ქალებმა პირველივე წრეში დათმეს შეხვედრები და ათენის ოლიმპიადას დაემშვიდობნენ. საკვალიფიკაციო ეტაპზე 22-ე შედეგის მქონე ქრისტინე ესებუა ინდოელ რეენა კუმართან ფავორიტად კი მიიჩნეოდა, მაგრამ 144:153 დამარცხდა.

გამოცდილმა ხათუნა ნარიმანიძემაც უზუსტოდ მოზიდა მშვილდი, მხოლოდ 132 ქულას გაარტყა და ესპანელ ალმუდენა გალიარდოს მთელი 16 ქულით ჩამორჩა. თვისტომებს „მიბაძა" თურქეთის სახელით მოასპარეზე ნატო ნასარიძემ, რომელმაც ფინელ მარი ჰიუვასთან დახარა მშვილდი — 133:136.

სროლა

# სალუქვაძემ ათიანს ააცილა და მეათეზე დარჩა



**წაგებაც არის და წაგებაც** — ვერ ვიტყვით, რომ ნინო სალუქვაძისგან უეჭველად ოქროს ველოდით, ოქროს კი არა, ნებისმიერი სინჯის მედლით ბავშვებივით გავიხარებდით, მაგრამ ლამის მოგებული შესავლის შემდეგ რომ დაგალალატებს სიზუსტე, ორმაგად საწყენია...

თანმიმდევრულად მივყვეთ: გუშინ ათენში ქალთა შორის პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე სროლებში გათამაშდა მედლები. 1988 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სალუქვაძემ საკვალიფიკაციო წრეში 382 ქულით 41 მონაწილეს შორის მე-10-14 ადგილები გაიყო, ფინალურ სროლებში კი 8 საუკეთესო გადიოდა. არადა ჩვენებური ახლოს იყო მიზანთან და მერე როგორ... წარმოიდგინეთ, სამი ათეული გასროლის შემდეგ ნინოს 96, 96 და 98 ქულები ჰქონდა დაგროვილი, პირველ ადგილზე(!) მიდიოდა და უახლოეს მდევარს 2 ქულით უსწრებდა. აი, მეოთხედ, საბოლოო სერიაში კი სალუქვაძემ 92 ქულაზე მეტს ვერ მოუყარა თავი, როცა ამ ნიშნულს აუტსაიდერებმაც კი უწიეს. ამ დროს ნინოს კონკურენტებს ხელი არ აჰკანკალებიათ და ქართველი 8 საუკეთესოს მიღმა დატოვეს.

საკვალიფიკაციო ეტაპი ნინოს მუდმივმა მოქიშპემ, სერბმა იასნა სეკარიჩმა მოიგო 387 ქულით, მაგრამ გადამწყვეტ სროლებში ფურორი მოახდინა უკრაინელმა ოლენა კოსტევიჩმა (99,3 ქულა) და ოლიმპიური ოქროც დაისაკუთრა.

ნინო სალუქვაძეს გუშინ მთელი დღე დანა პირს არ უხსნიდა, თუმც ახლა მწუხარების დრო არა აქვს — ხვალ ხომ სპორტული პისტოლეტით შეჯიბრი ეწყება.

**ილია ნანობაშვილი**


სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12-დან 30 აგვისტომდე ათენში იმუშავებს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.

*ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ:*
(30) 697 9061285
(30) 697 9061103


ტანვარჯიში

# გიორგაძე ფინალშია

**ილია გიორგაძემ** მრავალჭიდში 22-ე შედეგი აჩვენა და ფინალურ ჯგუფში მოხვდა. იქ კი 24 საუკეთესო შეიკრიბება და ვნახოთ, თუ ქართველ ტანმოვარჯიშეს მედლებისკენ „გული მიუწევს", მაჩვენებლები უნდა გააუმჯობესოს, თუმც ეს ძალიან გაუჭირდება. ფინალური შეჯიბრი კი 18 აგვისტოს შედგება. საკვალიფიკაციოში გიორგაძემ ყველაზე კარგად ღერძზე და რგოლებზე ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ მრავალჭიდის გარდა, რუსეთში ნავარჯიშევი ილია ცალკეულ იარაღებზე ინდივიდუალურ გამოსვლებშიც ცდის ოლიმპიურ ბედს.

# საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის მიმართვა ოს და ქართველ ხალხს

**მეგობრებო!**

ცნობილი ფაქტია, რომ ერთი სისხლის და ხორცის, ერთი მიწა-წყლისა და ერთი ცის ქვეშ დაბადებული ორი მოძმე ქართველი და ოსი ხალხი საუკუნეების ქარტეხილებსა და თავდასხმების ქარცეცხლში ერთ მუშტად შეკრულნი ებრძოდნენ ათასი ჯურის მომხდურთ, რათა არ დაეკარგათ დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ერთიანობა. შორს წაგვიყვანდა იმ ბრწყინვალე საბრძოლო ეპოპეათა ჩამოთვლა, რომლებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ამ ორი ხალხის თანაარსებობისა და თანაცხოვრების ისტორიაში.

ქართველი და ოსი ხალხი ჭირსაც და ლხინსაც ერთად ხვდებოდა, დღესაც მრავალი შერეული ოჯახი ჰარმონიულად აგრძელებს ცხოვრებას. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, ქართველები და ოსები ერთად აშენებენ მათთვის საოცნებო ქვეყანას, თუმცა ორი ერის თანადგომა მავანსა და მავანს არ მოსწონს, არის დიდი მცდელობა ორი მოძმე ერი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდეს, რასაც აღწევენ კიდეც ცალკეულ შემთხვევებში. გონს მოვეგოთ ჩვენო დებო და ძმებო, ჩვენო ახლობლებო, გამოვიჩინოთ მეტი გამჭრიახობა, რათა სანანებელი არ გაგვიხდეს საუკუნეებით ნაშენების დანგრევა, ჩვენს მომავალ თაობას ნუ დავუტოვებთ ურთიერთ შურს, მტრობას, სიძულვილს, გაუტანლობას, რაც დამღუპველი იქნება ორივე ხალხისთვის.

დაიწყო ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოს ყურადღება ათენისკენაა მიმართული, საქართველოს სპორტულ დელეგაციაში ქართველებთან ერთად ოსები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან, მათი მიზანი ერთია, რაც შეიძლება მეტი სპორტული წარმატება მოუტანონ თავიანთ ქვეყანას. ისტორიულად ოლიმპიური თამაშების ჩატარების დროს ქვეყნები წყვეტდნენ ომს და ისადგურებდა მშვიდობა. ჩვენ კი ორ ერს ქართველ და ოს ხალხს საომარი არაფერი გვაქვს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმი, მომქმედი და ვეტერანი მოჭიდავეები მოგმართავთ თხოვნით, შევწყვიტოთ ურთიერთ ფიზიკური დაპირისპირება, ყოველგვარი პრობლემები გადავწყვიტოთ ცივილური მეთოდებით, მით უმეტეს პოლიტიკოსებთან ერთად ამის უფლება მოჭიდავეებსაც გვაქვს, ყველაზე მეტი მეგობრობა ხომ ოს და ქართველ მოჭიდავეებს ჰქონდათ და დღესაც აქვთ.

გვჯერა, რომ გაიმარჯვებს საღი აზრი, გვჯერა, რომ ქართველებსა და ოსებს შორის დაისადგურებს მშვიდობა.

ღრმა პატივისცემით,

**გოჩა ძასოხოვი**, პრეზიდენტი
**დავით ციმაკურიძე**, ოლიმპიური ჩემპიონი
**ვახტანგ ბალავაძე**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
**გიორგი სხირტლაძე**, მსოფლიოს ჩემპიონი
**გურამ სადარაძე**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
**ზარბეგ ბერიაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი
**რომან რურუა**, ოლიმპიური ჩემპიონი
**ლევან თედიაშვილი**, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი
**ვახტანგ ბლაგიძე**, ოლიმპიური ჩემპიონი
**ელდარ კურტანიძე**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
**გივი ყვარელაშვილი**, მსოფლიოს თასის მფლობელი
**მიხეილ სალაძე**, მსოფლიოს ჩემპიონი
**თემურ ყაზარაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი
**თემურ აფხაზავა**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
**დავით გობეჯიშვილი**, ოლიმპიური ჩემპიონი
**ლერი ხაბელოვი**, ოლიმპიური ჩემპიონი
**ბეგი დარჩია**, საქართველოს ნაკრების თავკაცი ბ/რ. ჭიდაობაში
**ზაზა თურმანიძე**, საქართველოს ნაკრების თავკაცი თ. ჭიდაობაში
**ომზარ შოშიტაიშვილი**, გენერალური მდივანი

კალათბურთი

— 15 აგვისტო —

**A ჯგუფი. I ტური**

**იტალია 71:69 ახ. ზელანდია**
იტალია: ბაზილე (16), გალანდა (15)
ახალი ზელანდია: პენი (20), ჯონსი (15)

**ესპანეთი 83:58 ჩინეთი**
ესპანეთი: გასოლი (21), ნავარო (16)
ჩინეთი: ლი (14), მინგი (12)

**არგენტინა 83:82 სერბეთი**
არგენტინა: ჯინობილი (21), ნოჩიონი (12)
სერბეთი: რადმანოვიჩი (21), რაკოჩევიჩი (19), ბოდიროგა (16)

**B ჯგუფი. I ტური**

**ლიტვა 78:73 ანგოლა**
ლიტვა: ე. ჟუკაუსკასი (15), ლავრინოვიჩი (15)
ანგოლა: ლუტონდა (17), გომესი (14)

**პუერტო რიკო 92:73 აშშ**
პუერტო რიკო: აროიო (24), კასანო (18)
აშშ: აივერსონი (15), დანკანი (15 ქულა, 16 მოხსნა)

**საბერძნეთი 76:54 ავსტრალია**
საბერძნეთი: პაპადოპულოსი (21)
ავსტრალია: მაერი (12), ჰელი (12)

# იოცნებე, ოცნების გუნდო!

## აშშ პატარა და უმუშევარმა პუერტო რიკომაც შეარცხვინა



REUTERS ათენიდან

კარგად მოვემზადეთ, ევროპაში სპარინგ-თამაშებით მშვენიერი გაკვეთილები გავიარეთო, ესაო, ისაო... კიდევ კარგი, ამერიკელებს იმდენი ჭკუა ეყოთ, ოლიმპიადის დაწყებამდე არ აბუხუნდნენ, ოქროს მედლებს აუცილებლად ჩვენ მოვიგებთო. ერთმა კარმელო ენტონიმ იტინგიცა და საკუთარ თავს და „დრიმ თიმს" წინასწარ ჩამოჰკიდა ათენის ოქრო, მაგრამ მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა მაშინვე დატუქსა ახალგაზრდა შეგირდი და მის მაგივრად მოიხადა ბოდიში — აპატიეთ, არ იცის, რას ლაპარაკობსო.

ლაპარაკი იქით იყოს და, ნბა-ელებმა გუშინ არც ის იცოდნენ, მოედანზე რას აკეთებდნენ. საკალათბურთო იმპერიის 50 შტატის არცთუ რჩეულმა, მაგრამ მაინც ნაკრებმა ვერაფერი მოუხერხა 51-ე ნახევარშტატ პუერტო რიკოს და კარგა გვარიანი სირცხვილით დაიწყო ოლიმპიადა. 19 ქულით მარცხი ახალი ანტირეკორდი გახლავთ ნბა-ელი ბიჭებისთვის და ორი ქულით უფრო სამარცხვინო ვიდრე ორიოდ კვირის წინ იტალიასთან სპარინგ-მარცხი. ალენ აივერსონი დიდი კაშკაშა ვინმე ბრძანდება, ნბა-ს უძვირფასესი მოთამაშეც ყოფილა, სეზონის ბომბარდირიც (არაერთხელ) და პლეიოფის ფინალში „ლეიკერსისთვისაც" უმტვრევია კბილები, მაგრამ გუშინ პუერტორიკოელთა ლიდერ კარლოს აროიოს ნახევარი არ ღირდა. არადა, სად აივერსონი და სად აროიო? ეს ჭეელი წლეულს ძლივს დამკვიდრდა ყოვლად საშუალო „იუტა ჯაზის" სასტარტო ხუთეულში.

ამერიკელებს კიდევ გაუმართლათ და B ჯგუფში შედარებით იოლი მეტოქეები შეხვდათ. A ჯგუფის ექვსი მონაწილედან ოთხს ამ ორ წელიწადში დაუჩოქებია ეს ჩვენი ნაქები ნბა-ს კრებული. წოწოლა იაო მინგის ჩინეთს თუ არ ჩავთვლით, A ჯგუფში ყველა მეომარი და მედალზე დაგეშილია. რაციონალურმა იტალიამ ძლივს მოუგო ახალ ზელანდიას, არგენტინელებისა და ნბა-ელების გარეშე დარჩენილი სერბების მატჩი ხომ ნამდვილ ამერიკულ თრილერს ჰგავდა, რომლისაც ამერიკელებს ძალიან უნდა ეშინოდეთ. არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ იფრინა, სერბმა დეიან ბოდიროგამ იპროფესორა, ბოლო ბურთი კი მაინც გაუჩოს მიუვიდა. 81:82 ანგარიშზე, საფინალო სირენამდე 3,8 წამით ადრე ლათინოსებმა ბურთის სლავთა ნახევარზე გადატანაც მოასწრეს და სამწამიანის სიახლოვეს ჩასაფრებულ ჯინობილიმდე მიტანაც, ამანაც რაღაც ჯადოქრობით ჩააგდო და სერბებს 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხებისთვის სამაგიერო მიუზღო.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**

ფეხბურთი

— 14-15 აგვისტო —

კაცები

**A ჯგუფი. II ტური**

**სამხრეთ კორეა 1:0 მექსიკა**
**საბერძნეთი 0:2 მალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| სამხრეთ კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მექსიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

**B ჯგუფი. II ტური**

**პარაგვაი 1:2 განა**
**იაპონია 2:3 იტალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 5:7 | 0 |

**C ჯგუფი. II ტური**

**სერბეთი 1:5 ავსტრალია**
**არგენტინა 2:0 ტუნისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სერბეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:11 | 0 |

**D ჯგუფი. II ტური**

**კოსტა რიკა 0:2 ერაყი**
**მაროკო 1:2 პორტუგალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერაყი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| მაროკო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კოსტა რიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

# ბიელსას იდილია

## არგენტინა იდეალურია!

არგენტინამ მეორე მატჩიც მოიგო ისე, რომ გოლი არ გაუშვია და მეოთხედფინალი გაინაღდა. მარსელო ბიელსას გუნდში კარლოს ტევესი ბრწყინავს, რომელმაც „თეთრ-ლურჯები" პირველი ტაიმის მიწურულს მოხვდენილი თავურით დააწინაურა. „ტევესი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია — თქვა მწვრთნელმა — მაგრამ დღეს ყველამ კარგად იმუშავა. თითქმის იდეალური ნაკრები მჰავს." მეორე გოლი შეცვლაზე შესულმა ხავიერ სავიოლამ მარიანო გონსალესის პასით გაიტანა.

არგენტინას 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ სპორტის არც ერთ სახეობაში ოქრო არ მოუგია და ნავსის გატეხვას ათენში ამ გუნდით აპირებს. „აქ მხოლოდ ოქროს მედლებისთვის ჩამოვედით — განაცხადა ტევესმა — ეს ჩვენი ერთადერთი მიზანია. გვსურს, რომ შინ გამარჯვებულები დავბრუნდეთ."

სამხრეთ კორეამ კიმ იონგ ვოს წყალობით მექსიკელი მეკარე კორონა ხოსე უშანსოდ დატოვა.

ჯერჯერობით ვერ მოიგეს მასპინძლებმა. ბერძნებმა პირველ ტურში კორეელებს ბოლო წუთზე ქულა გამოჰგლიჯეს, ამჯერად კი მალისთან დამარცხდნენ. მალელებმა ელინებს პირველ ტაიმში წყვილი გოლი მიართვეს. მამა დი ბერტემ დააწინაურა სტუმრები, მერე კი ტენემა ნდიაიემ ახლოდან გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. ბერძნებმა მეორე ტაიმში პენალტი გააფუჭეს.

ავსტრალიელები იოლად გაუმკლავდნენ სერბეთჩერნოგორიელ ოლიმპიელებს. შესვენებამდე ორი გოლი აკმარეს, სამი კი მეორე ტაიმში მიართვეს.

**ᲒᲐᲨᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ცურვა

# იცურე თავისუფლად

## ზურაბ ხომასურიძე 59 მონაწილეში 58-ეა



REUTERS ათენიდან

მაიკლ ფელპსმა და იან ტორპმა თითო ოქრო უკვე მოიგეს

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენმა ერთადერთმა მოცურავემ, ზურაბ ხომასურიძემ, რომელიც 200 მეტრ დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში უნდა გაჯიბრებოდა სხვა ქვეყნებიდან წარგზავნილ კაცთევზებს, ისე იცურავა, მტერს არ უსურვებ კაცი.

პირველივე საკვალიფიკაციო გაცურვიდან რომ გამოეთიშა ასპარეზობას, ეგ კიდევ არაფერი, ბოლოს და ბოლოს, მისგან არც მედალს ველოდით და არც ფინალში გასვლას, მაგრამ...

1 წუთი და 58,2 წამი — ასეთია მისი შედეგი, რომელიც მთელი 8,1 წამით ჩამორჩა ნახევარფინალში გასასვლელად აუცილებელ მინიმუმს. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ 59 მონაწილეს შორის ხომასურიძემ 58-ე შედეგი აჩვენა.

„მთავარია მონაწილეობა, და არა გამარჯვება" — ასე ჟღერს ოლიმპიური დევიზი, თუმცა კარგი იქნება, თუ ამ დევიზში ასეთი მონაწილეობას არ ვიგულისხმებთ.

სამაგიეროდ, გაილაღეს მათ, ვის გალაღებასაც ველოდით. ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია ლეგენდარული თანამემამულის მარკ სპიცის რეკორდის დამხობა და ერთ ოლიმპიადაზე 8 ოქროს მედლის მოხვეჭა, პირველი ნაბიჯი გადადგა მიზნის მისაღწევად და პირველი ოქრო უკვე დაისაკუთრა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ ფელიპსს 400 მეტრზე შერეული სტილით ცურვაში ტოლ-სწორი არ გამოუჩნდა და ფინიშთან 4.08,26 წუთში მისცურა, რაც მსოფლიო რეკორდიც გახლავთ. 3,55 წამი დააგვიანდა სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, ამერიკელ ერიკ ვენდტს, რომელიც ამჯერადაც მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. პედესტალზე ამერიკელთა ჰეგემონია უნგრელმა ლასლო ცეჰმა შერყვნა, რომელიც ლიდერს 3,89 წამით ჩამორჩა და ბრინჯაო მოიპოვა.

ამავე დისტანციაზე შერეული სტილით მოცურავე ქალთა ასპარეზობაც მოულოდნელობების გარეშე დასრულდა. უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ, რომელმაც სიდნეიში 200 და 400 მეტრზე შერეული სტილით იმარჯვა, აქაც არავის დაანება პირველობა და 4.34,83 წუთში ოქრო მოინადირა, თუმც გულშემატკივარი სულ არ ანერვიულაო, ამასაც ვერ ვიტყვით, რადგან ამერიკელი კეტლინ სანდენო სულ 0,12 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გასულმა არგენტინელმა ხეორხინა ბარდაჩმა კი 2,68 წამის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

კაცებში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვასაც არ მოჰყოლია სენსაცია. ავსტრალიელმა იან ტორპმა თანამემამულე გრანტ ჰეკეტს 0,26 წამით აჯობა და სტარტიდან 3.43,10 წუთში ოლიმპიური ჩემპიონი შეიქნა. 1,01 წამით ჩამორჩენილი კლიტ კელერი კი მესამე ადგილს დასჯერდა.

4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ტორპის თანამემამულე ავსტრალიელმა გოგონებმა იმარჯვეს. 3.35,94 წუთში მოამთავრეს საქმე ელის მაილზმა, ლიზბეტ ლენსონმა, პეტრია ტომასმა და ჯოდი ჰენრიმ. მეორე ადგილზე ამერიკელები გავიდნენ 3.36,39 შედეგით, მესამეზე კი ჰოლანდიელები, რომლებმაც დისტანცია 3.37,59 წუთში დაფარეს.

**ᲚᲐᲓᲝ ᲤᲣᲚᲣᲫᲘᲫᲔ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიკი



ახალზელანდიელი კალათბურთელები იტალიელებს ჰაკათი აშინებენ. შეეშინდათ, რო?!



არ გიკვირთ, როგორ ახერხებენ ასეთი მალაყის შემდეგ ზუსტად დახტომას?



ჩაგახრჩობ, შენი!



ბურთთვალა




SOS!!!

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცამეტე ეტაპი

# ჰუნგარო კინგი




REUTERS ფოტო

„ფერარის“ გამარჯვებების მთავარ შემოქმედ ჟან ტოდტს გუშინ მისმა ბიჭებმა სათანადო პატივი მიაგეს

**თითქმის** სამკვირიანი არდადეგების შემდეგ მეფორმულეები ისევ მიუსხდნენ საჭეს და გუშინ ბუდაპეშტიდან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ „ჰუნგარორინგზე“ მეცხრამეტედ გაითამაშეს უნგრეთის დიდი პრიზი.

მეტოქეებზე წლევანდელი ვეებერთელა უპირატესობიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი იყო, „ფერარიმ“ უკვე გუშინ, სეზონის ბოლომდე ხუთი ეტაპით ადრე გაინაღდა ორივე, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში პირველობა, ანუ აბსოლუტური ჩემპიონობა, თანაც ზედიზედ სარეკორდო მეხუთედ.

მართალია, პირადულში მიხაელ შუმახერს ჯერ არ მოუპოვებია მეშვიდე ტიტული, რადგან მისი თანაფერარელი რუბენს ბარიკელო თეორიულად კიდევ ინარჩუნებს საჩემპიონო შანსს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ მესამე პოზიციაზე მყოფი ჯენსონ ბატონი უკვე ველარაა „წითელი ეშმაკების“ გამსწრები და საჩემპიონო გვირგვინიც მეთოთხმეტედ, იტალიურ საჯინიბოს დარჩება. შვიდგზის ჩემპიონობას კი შუმი ალბათ უახლოეს რბოლაში, ორი კვირის შემდეგ ბელგიაში გაიფორმებს.

შაბათს კვალიფიკაცია მიხაელმა მოიგო, წლეულს უკვე მეშვიდედ, 14-წლიან კარიერაში კი 62-ედ და ლეგენდარულ ბრაზილიელ აირტონ სენას ფანტასტიკური რეკორდის დამხობამდე ოთხიღა დარჩა.

„წითელ ბარონს“ სტარტზე გვერდით ყველაზე სასურველი მეტოქე — რუბენსი ედგა, ფერარელთა უკან კი ასევე წყვილად, ბარელები ტაკუმა სატო და კარიერას გამოკიდებული ჯენსონ ბატონი განლაგდნენ. გეხსომებათ, მთელი კვირა ბატონის ბარ-იდან გაქცევაზეა ლაპარაკი. არადა, გუნდი გაისადაც ბრიტანელი პილოტის იმედზე იყო, მან კი უფრო ძლიერ „უილიამსში“ გადასვლა არჩია, მეტი საჩემპიონო შანსი მექნებაო.

სკანდალი ჯერაც არ ჩამცხრალა, ჯენსონის ბოსმა დევიდ რიჩარდსმა, სახელგანთქმული საფორმულო ადვოკატი, ინგლისელი მაიკ ჰეი დაიქირავა და სჯერა, რომ მისი დახმარებით 24 წლის ტალანტს შეინარჩუნებს.

წყლის ამღვრევი ბატონი გუნდიდან საგაისო აბარგების მიუხედავად, სეზონის ბოლომდე მაინც ბარ-ის ერთგული რჩება, ბუდაპეშტში ბოლომდე კაცურად იბრძოლა და მართალია, ამჯერად პოდიუმზე ვერ შედგა, მაგრამ მეხუთე ადგილიც ცხადია, დასაძრახი არაა.

ფერარელებმა სტარტზე მეწინავეობა უპრობლემოდ შეინარჩუნეს — მიხაელი პირველ მოსახვევში ყველაზე ადრე შევიდა და ფაქტობრივად რბოლაც მაშინ დასრულდა. შუმი-კელოს ტანდემმა ისე გაქუსლა, ამჯერადაც ახლოს არავინ გაიკარა. შუმახერმა მიმდინარე სეზონში მე-12 დიდი პრიზი დაისაკუთრა და თავისივე ორი წლის წინანდელი მიღწევა გააუმჯობესა, მორიგ უგასწრებო და უინტერესო უნგრულ ეტაპზე. მიხაელმა „ჰუნგარორინგზე“ მეოთხედ გაიმარჯვა და ამ მხრივაც მერეკორდე გახდა.

საზაფხულო შვებულება ყველაზე ნაყოფიერად კიმი რაიკონენმა გამოიყენა — დაოჯახება მოასწრო. 24 წლის ფინელმა ვიცე-ჩემპიონმა ცოლად მოიყვანა თანამემამულე, ყოფილი „მის სკანდინავია“ ჯენი დალმანი, მაგრამ ამ სასიამოვნო ფაქტმა მრბოლს უსიამოვნო შედეგი მოუტანა: „ყინულის კაცი“ კომი გუშინ დასაწყისშივე გამოეთიშა ბრძოლას.

და კიდევ: რენოელმა ფერნანდო ალონსომ გუშინ კარიერაში ასქულიან ზღვარს მიაღწია, ხოლო უილიამსელმა ხუან-პაბლო მონტოიამ 200-ქულიანი ბარიერი გადალახა და „სამეფო რბოლების“ 55-წლიან ისტორიაში ამ შედეგით 29-ე პილოტი შეიქნა.

**გია ახალაძე**

## მოგება სეზონში

| მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | მოგება | წელი |
|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 12 | 2004 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 11 | 2002 |
| ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 9 | 1992 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი | 9 | 1995 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 9 | 2000 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 9 | 2001 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 8 | 1988 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი | 8 | 1994 |
| დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 8 | 1996 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი | 8 | 1998 |

## რბოლის შედეგები

**უნგრეთის დიდი პრიზი**
**15 აგვისტო. ბუდაპეშტი**
დისტანცია 70 წრე — 306,663 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მ. შუმახერი (ფერარი) | 1:35.26,131 (192,8 კმ/სთ) |
| 2. | (2) | ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 04,696 |
| 3. | (5) | ალონსო (რენო) | 44,599 |
| 4. | (7) | მონტოია (უილიამსი) | 1.02,613 |
| 5. | (4) | ბატონი (B.A.R) | 1.07,439 |
| 6. | (3) | სატო (B.A.R) | 1 წრით |
| 7. | (6) | პიცონია (უილიამსი) | 1 წრით |
| 8. | (8) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 9. | (12) | კულჰარდი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 10. | (11) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 11. | (13) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 12. | (16) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 13. | (14) | კლიენი (იაგუარი) | 2 წრით |
| 14. | (19) | ბრუნი (მინარდი) | 4 წრით |
| 15. | (18) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (17) | პანტანო (ჯორდანი) | გაიარა 42 წრე |
| (9) | ტრული (რენო) | 38 |
| (15) | ზონტა (ტოიოტა) | 30 |
| (-) | მასა (ზაუბერი) | 20 |
| (10) | რაიკონენი (მაკლარენი) | 12 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მ. შუმახერი — 1.19,146 (199,272 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ. შუმახერი — 1.19,678 (197,9 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | 120 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | – | 8 | | | | | | 82 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | 8 | 4 | | | | | | 65 |
| 4 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | – | – | | | | | | 46 |
| 5 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | 6 | 6 | | | | | | 45 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 4 | 5 | | | | | | 38 |
| 7 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | 5 | – | | | | | | 19 |
| 8 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | – | – | | | | | | 18 |
| 9 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | 1 | 3 | | | | | | 18 |
| 10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | – | 3 | – | 1 | | | | | | 14 |

რ. შუმახერი (უილიამსი) — 12, ვებერი — 7, მასა, პანი — 5, პიცონია — 4, და მატა (ტოიოტა), ჰაიდფელდი — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | ჩინეთი | იაპონია | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | 10 | 18 | | | | | | 202 |
| 2 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | 13 | – | 6 | 6 | | | | | | 91 |
| 3 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | | | | | | 83 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 6 | 7 | | | | | | 54 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | 5 | 10 | 5 | – | | | | | | 37 |

ზაუბერი — 19, ტოიოტა — 8, იაგუარი — 7, ჯორდანი — 5, მინარდი — 1 ქულა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. II ტური

**შალკე 2:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ზაიცი (18), 1:1, 2:1 ასამოა (25, 65)
შალკე: ფ. როსტი, ვალდოხი, ბორდონი, კრსტაიჩი, კ. პოულსენი (უდე კამპუისი 55), ჰამიტ ალტინტოპი, დ. როდრიგესი (პანდერი 55), კობიაშვილი, ლინკოლნი (ვერმანტი 78), აილტონი, ასამოა
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ლემბი, მეტომო, ვენცელი, გრამოცისი, რიდლი, ნერლინგერი, ჩატო (დრეშერი 35), ზანდი, იანკერი (კოსოვსკი 80), ზაიცი (ჰალილ ალტინტოპი 23)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: კრსტაიჩი, ვენცელი, ნერლინგერი
გაძევება: გრამოცისი (72)
მსაჯი: ჰიპელი
60 956 მაყურებელი

**ჰანზა 0:4 ვერდერი**

0:1 კლასნიჩი (54), 0:2 მიკუ (58), 0:3 კლასნიჩი (63), 0:4 პასანენი (89)
ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ, მაული (დი სალვო 64), რიდლევიჩი (დ. რასმუსენი 88), ლანცი, თ. რასმუსენი, არვიდსონი (ლაპაჩინსკი 81), პრიკა
მწვრთნელი: იური შლიუნცი
ვერდერი: რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, მანინი (სტალტერი 85), ბოროვსკი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, მიკუ, კლოზე (ხარისტეასი 76), კლასნიჩი (ნ. ვალდესი 76)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰილი, ფარენჰორსტი, ვალდესი
მსაჯი: კირხერი
25 000 მაყურებელი

**ბაიერნი 1:1 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (15), 1:1 მაკაი (47)
ბაიერნი: კანი, გიორლიცი, ლუსიო, თ. ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ფრინგსი (კუფური 88), დაისლერი (ჰარგრივსი 79), შოლი, ბალაკი, ზე რობერტო (სანტა კრუზი 46), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ტ. მარქსი (მადლუნგი 24), დარდაი, ნ. კოვაჩი, ჟილბერტო (ნოინდორფი 90), მარსელინიო, ბობიჩი, ვიშნიარეკი (ფატი 80)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ფრინგსი, ლინკე, გიორლიცი, კოვაჩი, მადლუნგი, ფრიდრიხი, მარსელინიო, გიორლიცი
გაძევება: გიორლიცი (86)
მსაჯი: კინჰოფერი
58 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:1 შტუტგარტი**

0:1 კაკაუ (7), 1:1 ბანოვიჩი (15)
ნიურნბერგი: შეფერი, ა. ვოლფი, ჩაიტო, ბოზაცკი, ვიბლიშაუზერი, ს. მიულერი (ვაგეფელდი 73), ლარსენი, მინტალი, ბანოვიჩი (დაუნი 66), ვიტეკი, შროტი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, შტრანცლი, ბაბელი, ჰ. გერბერი, სოლდო, მაისნერი, ა. გლები (ტიფერტი 90), ჰელდტი (ვრანიეში 46), კაკაუ, საბიჩი (კურანი 73)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ლარსენი, კაკაუ, ბანოვიჩი, კაკაუ, ვრანიეში, სოლდო
გაძევება: კაკაუ (42)
მსაჯი: კემლინგი
40 000 მაყურებელი

**გლადბახი 2:3 დორტმუნდი**

1:0 ულიხი (7), 1:1 იენსენი (13), 2:1 ჰაუსვაილერი (34), 2:2 კოლერი (35), 2:3 ევერტონი (38)
მიონხენგლადბახი: კამპა, ვან კერკჰოვენი, გაედე, შტრასერი, ფუკალი (კორჟინეცი 56), ჰაუსვაილერი, ციგე, ულიხი, შლაუდრაფი (ბროიხი 67), ნოივილი, სვერკოში (ვან ჰუტი 67)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
დორტმუნდი: ვარმუზი, ევანილსონი, დემელი, ბერგდოლმო, ნ. იენსენი, ოლისე, კელი, როსიცკი, დედე, ევერტონი, კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ვან კერკჰოვენი, ჰაუსვაილერი, ციგე, კორჟინეცი, კოლერი
მსაჯი: ვაგნერი
53 148 მაყურებელი

**მაინცი 2:1 ჰამბურგი**

0:1 ვან ბუიტენი (28), 1:1, 2:1 და სილვა (51, 53)
მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი (აბელი 60), მ. ფრიდრიხი, ბოდოგი, როსე, ფ. გერბერი, ბაბაცი, კრამნი, ნ. ვაილანდი, ვებერი (კეისი 88), დვორაკი (და სილვა 43)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ვიკი, ვან ბუიტენი, ბ. რაინჰარდტი, კლინგი (შლიკე 65), იაროლიმი, ბაინლიხი (ვ. გლები 77), რანი (ტაკაჰარა 65), მაჰდავიკია, ბარბარესი, ე. მპენზა
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ფრიდრიხი, მპენზა, შლიკე, გლები
მსაჯი: ალბრეხტი
18 700 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:1 ფრაიბურგი**

0:1 დორნი (85)
ვოლფსბურგი: იენჩი, თ. რიტერი (აჰუმადა 67), კიროგა, ჰოფლანდი, ბაიზერი, ტიამი, კარჰანი, მ. ხრისტოვი, მ. პეტროვი (მენსეგეზი 41), ბრდარიჩი (ტოპიჩი 82), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ფრაიბურგი: გოლცი, ოლაიენგბეში, მ. დიარა, მოჰამადი, ვილი (კრუპკე 65), ბაირამოვიჩი, ს. რიტერი (ბერნერი 69), ცქიტიშვილი, ს. კულიბალი, იაშვილი, ტანკო (დორნი 82)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ჰოფლანდი, ვილი
მსაჯი: მერკი
16 378 მაყურებელი

**ბოხუმი 2:2 ლევერკუზენი**

1:0 ლოკვენცი (29), 1:1 ბერბატოვი (66), 2:1 პროისი (69), 2:2 ვორონინი (87)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, კნავსი, პ. ბიონიგი, მალტრიცი, ცდებელი, ვოში (მისიმოვიჩი 70), პროისი, ლოკვენცი, პ. მადსენი (დიაბანგი 85)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, რამელო, კრჟინოვეკი, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (ფრაიერი 56), პონტე, ბერბატოვი (ვორონინი 68), ფრანცა (ჟ. ჟოუნსი 63)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: მადსენი, ლოკვენცი, მალტრიცი, პონტე
მსაჯი: ფროილიხი
26 289 მაყურებელი

**ჰანოვერი — არმინია**

*გაიმართება 15 სექტემბერს*

# და სილვა ისტორიაში მაინცით შევიდა

ფელიქს მაგათის „ბაიერნმა“ საშინაო მატჩში ორი ქულა დაკარგა. უფრო სწორად, ქულა მოიპოვა, რადგან კარგად მოთამაშე „ჰერტასთან“ პირველი ტაიმი წააგო.

მარსელინიომ მასპინძლები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა და პალ დარდაის პასით კანთან პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გახსნა. მეორე ნახევრის დაწყებიდან წუთში შეცვლაზე შესულმა როკე სანტა კრუზმა როი მაკაი კარიდან ექვსიოდ მეტრში ბურთიანად დატოვა და ჰოლანდიელსაც გატანა არ გასჭირვებია.

მიუნხენელი მცველი ანდრეას გიორლიცი თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს, ფილიქს მაგათმა კი ნამატჩევს თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში სწრაფად გავათანაბრეთ და აშკარა უპირატესობაც გვქონდა, გოლი ვერ გავიტანეთ. მეტი გვსურდა, მაგრამ ქულით უნდა დავკმაყოფილდეთ“.

დორტმუნდის „ბორუსიას“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა პირველი ბუნდესლიგური მატჩი მოიგო. მიონხენგლადბახში ხუთი გოლი ნახევარ საათში გავიდა. ივო ულიხმა ახლოდან გაიტანა და მასპინძლები დააწინაურა. დორტმუნდელებმა მალე გაათანაბრეს. ნიკლას იენსენმა საჯარიმო შეასრულა, ცოცხალი კედლიდან ასხლეტილი ბურთი კი კარში აღმოჩნდა. მარკუს ჰაუსვაილერმა შორიდან მოხდენილი დარტყმით გლადბახელები კვლავ წინ გაიყვანა, მაგრამ სტუმრებმა სწრაფად მოახერხეს ჯერ გაქვითვა, მერე კი გამარჯვების გოლის გატანა. დედეს პასს იან კოლერმა შვიდიოდ მეტრიდან აუღებელი თავური შეაგება, ხოლო ევანილსონმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და მესამედ დაამწუხრა დამხვდური მეკარე. „ეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით“ — თქვა ბერტ ვან მარვიიკმა.

როსტოკის „ჰანზა“ ჩემპიონმა „ვერდერმა“ მეორე ტაიმში დატკეპნა, პირველში კი ჰანზელთა შვედმა ფორვარდმა მაგნუს არვიდსონმა სამი ხელსაყრელი მომენტი გაანიავა.

ანგარიში ივან კლასნიჩმა ღონიერი დარტყმით გახსნა, იოან მიკუმ კი იქვე მეორე მიაყოლა. კლასნიჩმა უზადო საჯარიმო შეასრულა და გაასამა, ხოლო „ვერდერის“ ახალწვეულმა ფინელმა, პეტრი პასანენმა თოთხმეტიოდ მეტრიდან პირველი ბუნდესლიგური გაიტანა.

ნიურნბერგიდან ათკაცა „შტუტგარტმა“ ქულა წაიღო. სტუმართა ბრაზილიელმა ფორვარდმა კაკაუმ, რომელმაც წინა ტურში ჰეთ თრიქი შეასრულა, ამჯერადაც იყოჩაღა და მატჩის დასაწყისშივე შეაგდო. „ნიურნბერგის“ ივიცა ბანოვიჩმა მალე გაათანაბრა. მკერდიდან დაშვებული ბურთი ცაციით მეტოქის კარში შეჭედა. ჯერონიმო ბარეტო კაკაუ შესვენებამდე სამი წუთით ადრე გააძევეს, მეორე ნახევარში კი „შტუტგარტი“ მასპინძელთა შეტევებს იგერიებდა.

ბუნდესლიგაში პირველად მოთამაშე „მაინცმა“ პირველი გამარჯვება „ჰამბურგთან“ იგემა. ჰამბურგელთა გოლი დანიელ ვან ბუიტენის ანგარიშზეა, რომელსაც კრისტიან რანის ჩაწოდებული ბურთი მუხლში მოხვდა და კარში შევარდა.

მაინცელთა გმირი შეცვლაზე შესული ბრაზილიელი ანტონიო და სილვა გახდა. მას დუბლის შესასრულებლად სამი წუთი დასჭირდა.

გელზენკირხენში „შალკემ“ ჯერალდ ასამოას წყვილი გოლით იმარჯვა. „კაიზერსლაუტერნი“ ჰამით ალტინტოპის შეცდომის წყალობით დაწინაურდა. თურქმა მეტოქე კარსტენ იანკერს ჩააბარა ბურთი, მან კი ზაიცი მონახა და „შალკეს“ კარში გოლი ორიოდ მეტრიდან გავიდა. ასამოამ ორჯერვე მლადენ კრსტაიჩის პასით იხეირა, მეორე ტაიმში სტუმრებს დიმიტრიოს გრამოცისი გაუძევეს და გასათანაბრებლად ჯანი აღარ ეყოთ.

გუშინ კი სამი ქულა მიითვალა იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმა“, რომელმაც სტუმრად საამსეზონოდ მოღონიერებული „ვოლფსბურგი“ დორნის გოლით დაამარცხა.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ბაიერნი“ — „ჰერტა“. მარსელინიოს ეს გოლი მასპინძლებმა კი გაქვითეს, თუმც მეტი ველარ შეძლეს

### მეორე ბუნდესლიგა

#### II ტური

**აუე 3:1 მიუნხენი**

1:0 იუსკოვიაკი (15), 1:1 კოლომაჟნიკი (18), 2:1, 3:1 ჰელბიგი (35, 77)
აუე: ჰანელი, კოში, ჰასე, ლიბერსი, გიუნტერი, კურტი, რ. ტრენკოპფი, ტოპმიოლერი, კური, იუსკოვიაკი (მ. ჰაიდრიხი 90), ჰელბიგი (შუბითიძე 88)
16 500 მაყურებელი

**ტრირი 1:1 ესენი**

0:1 გოლდბეკი (9), 1:1 რაისი (72)
*ტრირელი დავით სირაძე განაცხადში ვერ მოხვდა*

**ბურგჰაუზენი 4:2 კიოლნი**

0:1 შერცი (3), 1:1 შმიდტი (44), 2:1 რაიზინგერი (45), 3:1 იუნგა (61), 4:1 შმიდტი (65), 4:2 შერცი (65)

**დუისბურგი 2:1 ზაარბრიუკენი**

1:0 აჰანფუფი (42), 1:1 ნერბაუერი (50), 2:1 კურტი (53)

**უნტერჰახინგი 1:2 ფიურტი**

1:0 ჩ. აკონორი (12), 1:1 კაილასი (24), 1:2 როსლერი (71)

**ალენი 1:1 ალემანია**

1:0 სოპიჩი (41), 1:1 შარპინგი (42)

**აინტრახტი 2:1 კარლსრუე**

1:0 ტ. ჰოფმანი (47), 2:0 ბ. კოლერი (51), 2:1 უაკილი (86)

**ერფურტი 1:1 ობერჰაუზენი**

1:0 ჰებესტრაიტი (30), 1:1 ალიაი (613)

**კოტბუსი — დინამო**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუე | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| ფიურტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბურგჰაუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ერფურტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აინტრახტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| დუისბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ობერჰაუზენი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ტრირი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ალემანია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კოტბუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უნტერჰახინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კარლსრუე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ალენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მიუნხენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ესენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 2 შტუტგარტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 ნიურნბერგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 4 ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 5 ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 ფრაიბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 8 ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 9 შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 10 მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 11 ბოხუმი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 12 ჰერტა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 არმინია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 გლადბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 ჰანზა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | -4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 ჰანოვერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 ლაუტერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 18 ჰამბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |

**III ტური**

28 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ლაუტერნი | : | შტუტგარტი |
| ფრაიბურგი | : | გლადბახი |
| დორტმუნდი | : | ჰანოვერი |
| არმინია | : | ბოხუმი |
| ლევერკუზენი | : | ბაიერნი |
| ჰერტა | : | მაინცი |
| ჰამბურგი | : | ნიურნბერგი |
| შალკე | : | ჰანზა |
| ვერდერი | : | ვოლფსბურგი |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კაკაუ (შტუტგარტი) | 4 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 2 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 2 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 2 |
| და სილვა (მაინცი) | 2 |
| ბრდარიჩი (ვოლფსბურგი) | 2 |
| ბანოვიჩი (ნიურნბერგი) | 2 |
| ასამოა (შალკე) | 2 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### IV ტური

არმინია (მ) — ვუპერტალი 2:2; ქემნიცი — ბრაუნშვაიგი 0:1; ფორტუნა — იურდინგენი 0:1; პადერბორნი — კილი 5:1; ზანკტ პაული — ოსნაბრიუკი 2:3; ლიუბეკი — ვოლფსბურგი 4:0; დორტმუნდი (მ) — ჰერტა (მ) 4:2; უნიონი — კიოლნი (მ) 3:1; ვერდერი (მ) — მიუნსტერი 1:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### II ტური

ელვერსბერგი — ვეჰენი 1:3; ფოიხტი — მაინცი (მ) 2:0; ჰოფენჰაიმი — აუგსბურგი 2:0; ნოტინგენი — მიუნხენი (მ) 3:1; ზიგენი — პფულენდორფი 4:1; დარმშტადტი — შტუტგარტი (მ) 2:0; რეგენსბურგი — კობლენცი 2:1; კიკერსი — ოფენბახი 1:2; ბაიერნი (მ) — აალენი 2:0

# მაურინიუმ დაიწყო

## ინგლისი

### პრემიერლიგა. 1 ტური

**ტოტენჰემი 1:1 ლივერპული**
0:1 სისე (38), 1:1 დეფო (71)
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, აიფილი, ნაიბეტი (დოჰერტი 70), კინგი, ედმანი, ჯეკსონი (ატუბა 70), რედნაპი (მ. ბრაუნი 82), ს. დევისი, პ. მენდეში, კანუტი, დეფო
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ლივერპული: დუდეკი, ხოსემი, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, ფინანი, ჯერარდი, ჰამანი (ბიშკანი 83), კიუელი, ჯ. სისე (სინამა-პონგოლე 64), ბაროში (უორნოკი 79)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კანუტი, რედნაპი, დეფო, სინამა-პონგოლე
მსაჯი: გალაჰერი
35 105 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:2 ნიუკასლი**
0:1 ბელამი (14), 1:1 დოუნინგი (73), 1:2 შირერი (83პ), 2:2 ჰასელბაინკი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, რაიციგერი, ეჰიოგუ, რიგოტი, პარნაბი (დოუნინგი 65), მენდიეტა, ბოატენგი, პარლოუ, ზენდენი, ჟობი (ნემეტი 46), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ნიუკასლი: გივენი, კარი, ბერნარი, რ. ელიოტი, ა. ჰიუზი, მილნერი (კ. დაიერი 63), ჯენასი, ბათი, რობერი (ამეობი 76), შირერი (კლუივერტი 87), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: პარლოუ, ბოატენგი, ეჰიოგუ, კარი
მსაჯი: ბენეტი
34 268 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 საუთჰემპტონი**
1:0 ვასელი (12), 2:0 კოული (34)
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი, მ. ლაურსენი, ჯ. სამუელი, ჰენდრი (უიტინგემი 22; დე ლა კრუზი 75), გ. მაკკანი, ჰიცლშპერგერი, ბერი, კ. კოული, ვასელი (ლ. მური 85)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ლე სო, ფ. ფერნანდესი, პრატონი, ფოლი (დელაპი 46), მ. ნილსონი (ა. სვენსონი 46), ფილიპსი, ორმეროდი (კრუჩი 68)
მწვრთნელი: პოლ სტაროკი
მსაჯი: რენიე
36 680 მაყურებელი

**ბოლტონი 4:1 ჩარლტონი**
1:0 ოკოჩა (11), 2:0 პედერსენი (30), 3:0 ოკოჩა (59), 3:1 ლისბი (67), 4:1 პედერსენი (72)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი (ბენ ჰაიმი 85), ნგოტი, ჟულიო სეზარი, რ. გარდნერი, ოკოჩა, კამპო, სპიდი, პედერსენი, შ. დევისი (ლ. ფერდინანდი 77), ნოლანი (იანაკოპულოსი 77)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ჩარლტონი: კაილი, ლ. იანგი, ფიში, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი (ბ. ჰიუზი 12), მერფი (ჯეფერსი 70), იუელი, კონჩესკი (რომედალი 70), ბარტლეტი, ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: სპიდი, იანგი
მსაჯი: დოუდი
24 100 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ბირმინგემი**
0:1 სევიჯი (10), 1:1 ანსუორთი (16პ)
პორტსმუთი: ჰისლოპი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, ანსუორთი, სტოუნი (გრიფინი 85), ქვოში, რ. ჰიუზი, ბერგერი (მეთიუ ტეილორი 81), ლუა ლუა, აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, მარტინ ტეილორი, აპსონი, ლაზარიდისი, დ. ჯონსონი, იზეტი, სევიჯი, გრონკიაერი (ჯ. გრეი 67), ჰესკი, ფორსელი (მორისონი 90)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ჰიუზი, ანსუორთი, სევიჯი, მარტინ ტეილორი, ლაზარიდისი, იზეტი
მსაჯი: ვები
20 021 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:1 ფულემი**
1:0 ფაულერი (28), 1:1 ჯონი (56)
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, მილსი, რ. დანი, დისტინი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, კ. რეინა, ბოსველტი (ჯ. ბარტონი 78), სიბიერსკი, ანელკა, ფაულერი (მაკენი 77)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, პირსი, ნაითი, ბოკანეგრა, პ. ბ. დიოპი, კ. იენსენი, კ. ჯონი (მაკბრაიდი 63), ლეგვინსკი, რაძინსკი (პემბრიჯი 79), ენდი კოული
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: კოული, ვოლცი
მსაჯი: მესიასი
44 026 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 კლემენტი (33), 1:1 შორტი (70)
ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი (პ. გალაჰერი 84), ლ. ამორუზო, შორტი, გრეშკო (დიკოვი 46), დე პედრო (თუგაი 46), ბ. ფერგიუსონი, დ. მატეო, მ. გრეი, იორკი, სტიდი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბ. ჰაასი, გაარდსო, პარსი, პ. რობინსონი, გრინინგი, შიმეკა, ენდი ჯონსონი (გერა 87), კლემენტი (დ. მური 75), კანუ, ჰორსფილდი (დობი 76)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: მატეო
მსაჯი: ფოი
23 475 მაყურებელი

**ნორვიჩი 1:1 კრ. პალასი**
1:0 ჰაკერბი (16), 1:1 ჯონსონი (73)
ნორვიჩი: რ. გრინი, ჰელვეგი, ფლემინგი, ჩარლტონი, დრური, მ. იონსონი (მაკვეიგი 64), ჰოლტი, ფრენსისი, ბენტლი (ედვორთი 71), ჰაკერბი, მათიას სვენსონი (მაკკენზი 82)
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
კრ. პალასი: სპერონი, ბოისი, პოპოვიჩი, ჰადსონი, გრენვილი, რუტლეჯი, მ. ჰიუზი (ფრიდმანი 89), ჰალი (რიიჰილაჰტი 78), კოლკა (დერი 78), ენდრიუ ჯონსონი, ტორშელე
მწვრთნელი: იან დოუვი
გაფრთხილება: გრენვილი
მსაჯი: უოლტონი
23 717 მაყურებელი

**ევერტონი 1:4 არსენალი**
0:1 ბერხკამპი (23), 0:2 რეიესი (39), 0:3 ლიუნგბერგი (54), 1:3 კარსლი (64), 1:4 პირესი (83)
ევერტონი: მარტინი, ნეისმიტი, პისტონე, სტაბსი (ჰიბერტი 46), იობო, კარსლი, გრაველსენი, კილბეინი, ოსმანი (დ. ფერგიუსონი 71), კ. კემპბელი, მაკფადენი (მ. ბენტი 46)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (პენანტი 64), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა (ფლამინი 69), რეიესი (პირესი 65), ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კარსლი, ოსმანი, კოული
მსაჯი: რაილი
35 521 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 მანჩესტერ იუნ.**
1:0 გუდიონსენი (15)
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯერემი (რ. კარვალიუ 89), მაკელელე, ლამპარდი, სმერტინი, დროგბა (კეჟმანი 70), გუდიონსენი (პარკერი 82)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, მ. სილვესტრი, ოში, კ. ფორჩუნი (ბელიონი 84), ჯემბა-ჯემბა (ფორლანი 73), როი კინი, ლ. მილერი (კ. რიჩარდსონი 84), სქოულზი, გიგზი, ა. სმიტი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: პოლი
41 813 მაყურებელი



„ჩელსი“ — „მანჩესტერი“. ეიდურ გუდიონსენმა ჟოზე მაურინიუს ბრწყინვალე დებიუტი მოუწყო

პრემიერლიგის პირველსავე ტურში ერთი ისეთი თამაში გამოერია, უკეთესი რა უნდა ყოფილიყო, „ჩელსი“ — „მანჩესტერი“.

სერ ალექსს მიზეზთა გამო ერთბაშად 9 ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ მანჩესტერელებმა მაინც მოუღლელად იბრძოლეს, თუმცა გოლი ვერ გაიტანეს. „ჩელსიმ“ კი გაუტანა — ეიდურ გუდიონსენმა შეაგდო, რითაც ლონდონელთა ახალმა მენეჯერმა ჟოზე მაურინიუმ ბრწყინვალე დებიუტი მოიწყო, „მანჩესტერი“ კი სეზონის პირველ მატჩში მიჯრით ცხრა წელი არ დამარცხებულიყო.

გუშინვე ჩემპიონმა „არსენალმა“ ლივერპულში მიწასთან გაასწორა „ევერტონი“. სტატისტიკა კი გვამცნობს, რომ „მეთოფეებმა“ 41-ე პრემიერლიგური მატჩი ჩაატარეს წაუგებლად, რაც 2003 წლის მაისიდან გრძელდება. ერთი წაუგებელი მატჩიც და „არსენალი“ გაიმეორებს „ნოტინგემ ფორესტის“ ძველ რეკორდს. კიდევ ვთქვათ, რომ დენის ბერხკამპისთვის, ვინაც ამ შეხვედრაში პირველი გოლი გაიტანა, ეს მე-500 ლიგური მატჩი იყო.

პრემირლიგა კი შაბათ შუადღით დაიწყო ერთგვარი მძაფრი სამშვიდობო ბრძოლებით, რაც იმას გულისხმობს, რომ რვა თამაშიდან ექვსი ფრედ დასრულდა და მხოლოდ ორში იმარჯვეს მასპინძლებმა. სეზონი გაიხსნა ლონდონში, „უაით ჰართ ლეინზე“, სადაც ინგლისისთვის ახალი ორი მწვრთნელი სცდიდა ბედს: ჟაკ სანტინი „ტოტენჰემში“ და რაფა ბენიტესი „ლივერპულში“. მერსისაიდელთა უოუენო გუნდს თავდასხმის ლიდერად ჯიბრილ სისე უდგას და ამანაც შეაგდო მახვილი კუთხიდან თავის სადებიუტო ინგლისურ მატჩში, პირველი ტაიმის მიწურულს.

ოღონდაც, ლონდონელები არ გაჩერებულან, სანტინის ხუთი ახალი კაცი ჰყავდა მოედანზე, საპასუხო გოლი კი მაინც ძველმა, ჯერმენ დეფომ გაიტანა საჯარიმოში თავისი საფირმო ბოლო დარტყმით. „ტოტენჰემში“ კარგი იყო მრავალნაცადი ნურედინ ნაიბეტი, ვინც ჰარი კიუელს და მილან ბაროშს გასაქანი არ მისცა. „ლივერპული“ პენალტსაც ითხოვდა, 17 წლის ფილ აიფილმა ნალდად მოცელა სტივ ჯერარდი, მაგრამ მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა არა ქნა.

საერთოდ კი, ორივე მწვრთნელი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ამ თამაშით. „ლივერპული“ სახეშეცვლილი ჩანს და „ტოტენჰემიც“, თუმცა პირველი მაინც უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

1:1 ითამაშეს პორტსმუთში იქაურებმა და „ბირმინგემმა“, ბლექბერნში მასპინძლებმა და „ვესტ ბრომვიჩმა“, მანჩესტერში „სიტიმ“ და „კრისტალ პალასმა“. ეს თამაშები ძალიან საბრძოლო იყო: პორტსმუთსა და ბლექბერნში მასპინძლები აგებდნენ და დიდი ჭიდილიც გამოვიდა, თუმცა, მთავარი მაინც „რივერსაიდზე“ მოხდა, სადაც „მიდლსბრომ“ ჯიმი ჰასელბაინკის სადავო გოლით გამოგლიჯა ქულა „ნიუკასლს“. ნიუკასლელები ადრევე დაწინაურდნენ; კრეიგ ბელამიმ კრის რიგოტის შეცდომა გამოიყენა. „ბორომ“ ბრძოლაში გაათანაბრა, ჯიმის კროსს სტიუარტ დოუნინგი შეეგება. მერე ბუდევინ ზენდენმა შოლა ამეობი წააქცია საჯარიმოში და ალან შირერმა პენალტით დააწინაურა სტუმრები.

თუმცა, ეს მხოლოდ მშრალი იერია თამაშისა და „ბორო“ საერთოდაც უკეთესი იყო მთელი ამ დროის მანძილზე. „ნიუკასლს“ ტრავმებისა და ვირუსის ეპიდემია სტანჯავს და ამიტომაც იდგა დაცვის ცენტრში რობი ელიოტი, რომელიც ბოლო ორ წელიწადში პირველად იყო სასტარტოში. როცა ანგარიში ჯერ არ გახსნილიყო, ელიოტმა ხელი შეაგება ჯიმის თავურს, მაგრამ პენალტი არ დანიშნულა, რადგან ბურთი გაისკა მენდიეტას მიუვიდა, მისი დარტყმული კი შეი გივენმა მოიგერია. სწორედ ამის შემდეგ დაწინაურდა „ნიუკასლი“ პირველად. „ბოროს“ ძალიან უშველა შილარდ ნემეტის შესვლამ, თუმც ბოლო სიტყვა მაინც ჯიმისა იყო, რომელიც თამაშის მიწურულს შორ ძელთან დაუხვდა ზენდენის ჩაკიდულს და გაათანაბრა, მაგრამ ნიუკასლელებს და სხვა დაკვირვებულ ადამიანებს ვერ გადაარწმუნებ, რომ მან ხელი არ მოიხმარა.

მოგებით კი სეზონი „ასტონ ვილამ“ დაიწყო, რომელმაც ორი უპასუხო გოლით სძლია „საუთჰემტონს“ და საერთოდაც, კარგად ითამაშა. დევიდ ოლირის აშკარად წინ მიჰყავს გუნდი. ყველაზე დიდი სიხარული კი მაინც „რიბოკის“ სტადიონზე იყო, სადაც „ბოლტონმა“ მოზოზინე „ჩარლტონი“ დააშამათა 4:1. თამაშის სახე იყო ჯეი- ჯეი ოკოჩა, ვინც პირველი გოლი 30 იარდიდან, საჯარიმო დარტყმით გაიტანა. მის ბრწყინვალე პასს მოჰყვა ჰენრიკ პედერსენის გოლი, მერე კი კვლავ ოკოჩასი, შემდეგ ისევ პედერსენისა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| II ტური | | |
|---|---|---|
| 21-22 აგვისტო | | |
| საუთჰემპტონი | : | ბლექბერნი |
| ბირმინგემი | : | ჩელსი |
| ჩარლტონი | : | პორტსმუთი |
| კრ. პალასი | : | ევერტონი |
| ფულემი | : | ბოლტონი |
| ლივერპული | : | სიტი |
| მანჩესტერი | : | ნორვიჩი |
| ნიუკასლი | : | ტოტენჰემი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ასტონ ვილა |
| არსენალი | : | მიდლსბრო |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბოლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 |
| 3 ასტონ ვილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 მიდლსბრო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 ტოტენჰემი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 სიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 ლივერპული | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 ნორვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 ბლექბერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 კრ. პალასი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 ფულემი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 14 ვესტ ბრომვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 15 ბირმინგემი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 16 პორტსმუთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 მანჩესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 საუთჰემპტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 20 ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

## ჩემპიონატი

### 3 ტური

**ბრაიტონი 1:1 ქოვენთრი**
0:1 ჰიუზი (69), 1:1 კირქლი (89)
**დერბი ქაუნთი 3:2 იფსვიჩი**
1:0 რაიხი (36), 1:1 მილერი (41პ), 1:2 ბოუდიტჩი (43), 2:2 იდიაკესი (58), 3:2 რაიხი (65)
**ჯილინგემი 2:1 პრესტონი**
1:0 ბიფილდი (16), 1:1 ფულერი (34), 2:1 რობერტსი (78)
**მილუოლი 2:0 ლესტერი**
1:0 მორისი (37), 2:0 დიჩიო (76)
**ნოტინგემი 2:2 ძრიუ**
0:1 რივერსი (21), 1:1 ტეილორი (39), 1:2 რივერსი (44), 2:2 კინგი (71)
**როტერჰემი 1:1 სტოკი**
1:0 შოუ (56), 1:1 აკინბაი (85)
**შეფილდ იუნ. 0:1 რედინგი**
0:1 ჰარპერი (41)
**სანდერლენდი 2:2 ქუინზ პარკი**
0:1 ფურლონგი (12), 1:1 სტიუარტი (33), 1:2 როულენდსი (71), 2:2 კოლდუელი (90)
**უოტფორდი 0:1 ბარნლი**
0:1 მური (64)
**ვულვერჰემპტონი 0:0 ლიდსი**
**კარდიფი 0:1 პლიმუთი**
0:1 ბალოკი (24ს.კ.)
**ვესტ ჰემი 1:3 უიგანი**
0:1 ელინგტონი (5), 0:2 რობერტსი (45), 0:3 ელინგტონი (58), 1:3 ზამორა (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| პლიმუთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ჯილინგემი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| რედინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| სტოკი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბარნლი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ქოვენთრი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| პრესტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| იფსვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| კარდიფი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მილუოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლიდსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ვესტ ჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| უოტფორდი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ნოტინგემი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| როტერჰემი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| დერბი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ვულვზი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| შეფილდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ქრიუ | 3 | 0 | 2 | 1 | 5:7 | 2 |
| ქუინზ პარკი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| ბრაიტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

## პირველი ლიგა

### III ტური

ბარნსლი — ლუტონი 3:4; ბლეკპული — სტოკპორტი 0:4; ბორნმუთი — ბრისტოლი 2:2; ბრედფორდი — დონკასტერი 2:0; ბრენტფორდი — რექსემი 1:0; კოლჩესტერი — პიტერბრო 2:1; ოლდემი — უოლსოლი 5:3; პორტ ვეილი — ჰალი 3:2; სუინდონი — დონსი 2:1; ტორკი — შეფილდ უენსდი 2:4; ტრანმერი — ჩესტერფილდი 1:0. *ჰადერსფილდი — ჰარტლპული დღეს გაიმართება*

## მეორე ლიგა

### III ტური

როვერსი — ნოტსი 2:1; კემბრიჯი — შრიუსბერი 1:0; ჩელტენემი — ლეიტონი 1:2; ჩესტერი — მენსფილდი 0:3; გრიმსბი — ბერი 5:1; კიდერმინსტერი — დარლინგტონი 1:0; ლინკოლნი — რაშდენი 1:3; მაკლსფილდი — სუონსი 1:0; ნორთჰემპტონი — უიკომბი 1:1; ოქსფორდი — სკანთორპი 1:1; როჩდეილი — საუთენდი 2:0; იოვილი — ბოსტონი 2:0

## კონფერენსლიგა

### I ტური

აკრინგტონი — ბარტონ 3:1; ალდერშოტი — იორკი 2:0; ბარნეტი — ფორესტ გრინი 3:1; კარლაილი — კონვი 0:0; დაგენემი — სტივენეიჯი 3:1; გრეივსენდი — ნორსვიჩი 2:2; ჰერეფორდი — ფარნბორო 3:1; ლეი — ქროული 1:2; სკარბორო — უოქინგი 2:0; ტემუორთი — ჰალიფაქსი 2:1; ექსეტერი — მორეკემბი 1:1

# რენე ბოლფმა სისეობა დაიბრალა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. II ტური

**პსჟ 2:2 კაენი**

1:0 ფიორეზე (10), 1:1 ენგბარი (44), 2:1 იეპესი (56), 2:2 კ. სარი (73პ)

**ლიონი 1:1 სოშო**

0:1 პოტილიონი (43), 1:1 ჟუნინიო პერნამბუკანო (75პ)

**ოსერი 3:1 რენი**

1:0, 2:0 ბოლფი (50, 54), 3:0 კალუ (70), 3:1 ა. ფრეი (82)

**ბორდო 5:1 ნიცა**

1:0 გრეგორინი (14ს.კ.), 2:0, 3:0 შამახი (23, 64), 3:1 ჟარჟა (65), 4:1 შამახი (77), 5:1 ლასლანდი (90)

**აიაჩო 1:2 მეცი**

0:1 ტუმი (6), 0:2 გაი (50), 1:2 შაპუი (60)

**ლანსი 3:0 სენტ ეტიენი**

1:0, 2:0 კეიტა (26, 39), 3:0 კუზინი (73პ)

**მონაკო 2:1 ისტრი**

1:0 კალონი (6), 2:0 მაისონი (28), 2:1 ვ. მონტანო (80)

**ნანტი 1:1 ბასტია**

1:0 აპამადა (49), 1:1 ანდრე (76)

**სტრასბური 1:4 ტულუზი**

0:1 ს. დალმა (5), 0:2 დ. სუარესი (8), 0:3 დ. მორეირა (26), 0:4 დ. სუარესი (77), 1:4 პაგი (90)

**მარსელი 3:0 ლილი**

1:0 ბამოგო (38), 2:0 მარლე (89), 3:0 ედუარდო კოშტა (90)

„სენტ ეტიენი" ორი ტურის შემდეგ ერთადერთი უქულო და უგოლო გუნდია. საფრანგეთის ათგზის ჩემპიონებმა მიჯრით მეორე შეხვედრა წააგეს. „ლანსმა" „სენტ ეტიენი" პირველივე ტაიმში სეიდუ კეიტას წყვილი გოლით დააჩოქა. კეიტამ ჯერ სტუმართა მეკარის შეცდომა გამოიყენა, მერე კი ერიკ კარიერის პასი. მეორე ნახევარში დანიელ კუზინმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით იხეირა და ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა.

პსჟ-მ ახალწვეულ „კაენს" დედაქალაქიდან ქულა გაატანა. პარიზელები ორჯერ იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. რეინალდოსგან ქუსლით მიღებული ბურთი ფაბრის ფიორეზემ „კაენის" კარში შეაგდო. ტაიმის მიწურულს სტუმარმა ენგბარმა მასპინძელ მცველთა დაბნეულობით ისარგებლა და ექვსი მეტრიდან დარტყმულით გაათანაბრა.

„ნანტიდან" პსჟ-ში ამ ზაფხულს გადასულმა მარიო იეპესმა ჟერომ როტენის ნაკუთხურალზე იხეირა, მაგრამ მოგვიანებით ბერნარ მენდიმ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და კაენელმა კორდაბა სარმა თერთმეტმეტრიანით გაქვითა.

„ჩვენთვის სეზონი ჯერ არ დაწყებულა — თქვა ნამატჩევს პსჟ-ს მცველმა სილვენ არმანმა — სეზონი პირველი მოგების შემდეგ იწყება".

„არ ვნერვიულობთ, მაგრამ სასწრაფოდ გვჭირდება გამარჯვება, რომ პირველობისთვის ბრძოლას არ ჩამოვრჩეთ, ბევრი შეცდომა დავუშვით, თუმც უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე წინა ტურში" — აღნიშნა პარიზელთა კაპიტანმა ჟოზე პიერ ფანფანმა.

ზედიზედ მეორე მატჩში იმარჯვა „მეცმა", რომელმაც სამი ქულა ამჯერად კორსკიდან წაიღო. ტუმმა მეშვიდე წუთზე საჯარიმოს ხაზიდან მოწყვიტა ბურთი და „აიაჩოს" მეკარე სტეფან ტრევიზანი მხოლოდ თითის წვერით წაეპოტინა — 0:1.

შესვენების შემდეგ ბაბაქარ გაიმ კუნძულელები მეორედ დაალონა. გაის დარტყმული ტრევიზანმა მოიგერია, მაგრამ ფორვარდმა დასწრებაზე იყოჩაღა და ცარიელ კარში გაიტანა. აიაჩოელმა სირილ შაპუიმ მხოლოდ ერთის გაქვითა მოახერხა. ოსერელი ქომაგები და მხცოვანი მწვრთნელი გი რუ ამ ზაფხულს შეძენილი ჩეხი მცველის, რენე ბოლფის შედეგიანმა თამაშმა გაახარა. ბოლფმა ბენუა შეირუს პასებით, ჯერ თავით, მერე კი ფეხით ორი გოლი გაიტანა და საამისოდ სამი წუთი იკმარა. ბუნავენტურა კალუმ კუთხურიდან იან ლაშუერის ჩაწოდებულ ბურთს შეაგება თავი და ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა, ხოლო ალექსანდრ ფრეიმ მასპინძლებს ერთით უპასუხა.

ბორდოში მარუან შამახმა ჰეთ-ტრიკით ზეიმი მოიწყო, ხოლო ნიცელთა რბევა მათივე მეკარის, დამიენ გრეგორინის მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთით დაიწყო. შამახმა პირველი თავური დარტყმით გაიტანა, მანვე მეორე ტაიმში ჯერ ლასლანდის, შემდეგ კი დავიდ ჟემალის პასები აქცია გოლად. ბოლოს თავად ლასლანდმაც იხეირა, რომელმაც გასული სეზონი „ნიცაში" გაატარა.

„ლიონის" მეკარე გრეგორი კუპემ სილვენ მონსოროს პენალტი აუღო, მაგრამ მოგვიანებით ლიონელ პოტილიონმა მაინც გაუტანა. ჩემპიონმა ჟუნინიოს წყალობით ქულა გადაარჩინა. მსაჯმა პიერ ალან ფროს წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა, ბრაზილიელმა კი გამოიყენა.

დიდიე დეშანის „მონაკომ" ახალშეძენილი ფეხბურთელების გოლებით მეორე მატჩი მოიგო. ამჯერად მოჰამედ კალონმა და ბრაზილიელმა მცველმა მაისონმა იყოჩაღეს. აღსანიშნავია, რომ კალონმა მაისონის, ხოლო მაისონმა ხავიერ ერნესტო ჩევანტონის პასით იხეირა. „ისტრის"ფორვადმა ვიქტორ მონტანომ ფლავიო რომას შეხვედრის მიწურულს ოცი მეტრიდან გაუტანა.

„ტულუზამ" „სტრასბური" სტუმრად გოლებით ამოტენა. „ტოტენჰემიდან" სამშობლოში დაბრუნებულმა სტეფან დალმამ ანგარიში მეხუთე წუთზე გახსნა და ამის მერე ტულუზელები თავიანთ გემოზე დანავარდობდნენ. დავიდ სუარესმა დუბლი შეასრულა, ერთიც ყოფილმა ლანსელმა დანიელ მორიერამ მიითვალა, ხოლო მასპინძელმა მიკაელ პაგიმ მაშინღა გაიღვიძა, შეხვედრა რომ მთავრდებოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| მონაკო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ტულუზი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ლანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ბასტია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სოშო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბორდო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ოსერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| რენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| კაენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| პსჟ | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ისტრი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ნანტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| აიაჩო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| სტრასბური | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| სტ. ეტიენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ნიცა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### II დივიზიონი. II ტური

**გენგამი — ბრესტი 1:2; ამიენი — ლე ავრი 1:2; ანჟერი — მონპელიე 0:1; კლერმონი — გენიონი 0:2; კრეტეი — ლე მანი 1:0; ლორიანი — შატორუ 2:1; ნანსი — სედანი 1:2; ნიორი — გრენობლი 1:3; რეიმსი — ლავალი 2:0; ტრუა — დიჟონი 2:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრენობლი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| რეიმსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ბრესტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| სედანი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| გენიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ტრუა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 4 |
| ლორიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლე ავრი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კრეტეი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლავალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| დიჟონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| შატორუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ამიენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლე მანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ანჟე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კლერმონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ნანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| გენგამი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |



მონაკოელ ემანუელ ადებაიორს „ისტრის" მეკარემ აჯობა



„ალანია" უფხოდ უტევდა და შესაძლოა, უთავოდ დარჩეს

# შინიკმა რეინჯერსი შეარცხვინა

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XIX ტური

**სპარტაკი 1:3 ლოკომოტივი**

0:1 ბილიალეტდინოვი (58), 1:1 პავლიუჩენკო (73), 1:2 ბილიალეტდინოვი (75), 1:3 პიმენოვი (78)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ევსეევი, ნიჟეგოროდოვი, ასათიანი, სენიკოვი, ფლიმა, ბილიალეტდინოვი, ხოხლოვი, ლოსკოვი (ვაგნერი 90), სიჩოვი (პაშინინი 89), ობიორა (პიმენოვი 77)

გაფრთხილება: ევსეევი, ბილიალეტდინოვი, ნიჟეგოროდოვი, ლოსკოვი, ასათიანი

მწვრთნელი: იური სიომინი

**ალანია 1:4 კრილია**

0:1 პოშკუსი (35), 1:1 სმირნოვი (47), 1:2 სოუზა (54), 1:3 კარიაკა (75პ), 1:4 პოშკუსი (77)

**ალანია:** რადიჩი, ბარასა, ბრაბეცი, ვარზიევი, ტარლოვსკი (ა. კუსოვი 61), დროზდოვი, იანოვსკი, სმირნოვი (ჩუველაშვილი 77), კასიმოვი (გვაზავა 77), კორიტკო, ბაზაევი

მწვრთნელი: როლან კურბისი

**შინიკი 2:1 ცსკა**

1:0 სპახიჩი (20), 2:0 რუბინსი (32), 2:1 კირიჩენკო (42პ)

**ამკარი 1:1 როტორი**

0:1 ზუბკო (23), 1:1 ვოლკოვი (77)

**დინამო 0:1 ყუბანი**

0:1 ვუკა (72)

**ტორპედო 1:1 მოსკოვი**

1:0 ლებედენკო (37), 1:1 ბრაკამონტე (87)

**ზენიტი 0:1 როსტოვი**

0:1 მარეში (56ს.კ.)

**რუბინი — სატურნი**

*დღეს გაიმართება*

„ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" ერთი კვირისწინანდელი მატჩი უგოლოდ დასრულდა, ამჯერად კი „ლოკომოტივმა" ბილიალეტდინოვის კარგი თამაშით მოიგო. „სპარტაკმა", აქამდე ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია რომ ჰქონდა, განაცხადში არგენტინელი ფერნანდო კავენაგის შეყვანა ვერ მოასწრო.

პირველ ტაიმში „სპარტაკი" უკეთესად გამოიყურებოდა, მეორეში კი სტუმრებმა ივარგეს. ვადიმ ევსეევის დარტყმული ბურთი კოვალევსკიმ მოიგერია, მაგრამ ბილიალეტდინოვმა დამატებაზე ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ ნევიო სკალამ ორი ფეხბურთელი შეცვალა, თამაშიც გამოასწორა და სპარტაკელებმა პავლიუჩენკოს გოლით გაათანაბრეს, მაგრამ „ლოკომოტივმა" სამწუთიან მონაკვეთში მეტოქე დააშამათა. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ბილიალეტდინოვმა თავით კარში შეაგდო, ხოლო ლოსკოვის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა პიმენოვმა მესამე გაუტანა მასპინძლებს.

ასეც ხდება, ცსკა-მ გლაზგოს „რეინჯერსს" მოუგო, „შინიკთან" კი წააგო. ვალერი გაზაევმა გუსევი, ჟირკოვი და რახიმიჩი თადარიგში დატოვა, მეგოლე ოლიჩი კი ტრავმირებული ჰყავდა.

„შინიკი" პირველი ტაიმის შუაში დაწინაურდა. ემირ სპახიჩმა თავური დარტყმით შეაგდო — ბურთი ხარიხას მოხვდა და კარში მერე შევარდა.

ათიოდ წუთში მოსკოველები ანდრეის რუბინსმა მეორედ დაამწუხრა. 20 მეტრიდან საჯარიმო შეასრულა, მეკარეს სველ ბალახზე ფეხი დაუსხლტა და ბურთი ვერ მოიგერია.

ამის მერეღა შეუტიეს სტუმრებმა და მხოლოდ ერთი პენალტი მოინაგრეს. რუბინსმა საკუთარ საჯარიმოში ირჟი იაროშიკი წააქცია და თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან კირიჩენკომ გაიტანა.

მეორე ნახევარში „შინიკს" მესამის გატანაც შეეძლო, მაგრამ ცარიელი კარისკენ გასრიალებული ბურთი წყლის გუბემ გააჩერა.

ვლადიკავკაზის „ალანიამ" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო, ამჯერად შინ „კრილიასთან". ვლადიკავკაზელებს 23 მაისის შემდეგ არ მოუგიათ და მწვრთნელ როლან კურბისს სამუშაოდან ალბათ მალე დაითხოვენ.

მასპინძელთა მცველი ბრაბეცი პოშკუსის წაქცევისთვის გააძევეს. საჯარიმო დარტყმა სოუზამ შეასრულა, მოგერიებული ბურთი პოშკუსს მიუვიდა და მას გატანა არ გასჭირვებია. „ალანიამ" მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა, მაგრამ კაცნაკლულებმა ანგარიში ვერ შეინარჩუნეს. სოუზამ, კარიაკამ და პოშკუსმა ვლადიკავკაზელთა კარი გოლებით ამოავსეს.

„ტორპედო" ლებედენკოს გოლით უგებდა თანაქალაქელ „მოსკოვს", მაგრამ არგენტინელმა ბრაკამონტემ შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაათანაბრა. დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა პერმში, სადაც „ამკარი" „როტორთან" აგებდა, თუმც ვოლკოვმა მეორე ტაიმში შეძლო გაქვითვა და მასპინძლებს ქულა არგუნა.

მოსკოვის „დინამო" კრასნოდარის „ყუბანთან" შინ მოულოდნელად დამარცხდა. კრასნოდარელებმა დედაქალაქიდან სამი ქულა წაიღეს და ცხრილში მდგომარეობა გაიუმჯობესეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 19 | 11 | 5 | 3 | 28:13 | 38 |
| კრილია | 19 | 11 | 4 | 4 | 34:27 | 37 |
| ტორპედო | 19 | 10 | 6 | 3 | 33:17 | 36 |
| ზენიტი | 19 | 11 | 3 | 5 | 35:24 | 36 |
| ცსკა | 19 | 9 | 7 | 3 | 30:17 | 34 |
| მოსკოვი | 19 | 6 | 7 | 6 | 24:23 | 25 |
| სპარტაკი | 19 | 7 | 4 | 8 | 28:30 | 25 |
| სატურნი | 18 | 4 | 11 | 3 | 19:16 | 23 |
| შინიკი | 18 | 5 | 7 | 6 | 14:18 | 22 |
| როსტოვი | 19 | 6 | 4 | 9 | 20:25 | 22 |
| ამკარი | 19 | 4 | 9 | 6 | 15:25 | 21 |
| რუბინი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:18 | 20 |
| დინამო | 19 | 4 | 7 | 8 | 18:22 | 19 |
| ალანია | 19 | 5 | 4 | 10 | 17:29 | 19 |
| ყუბანი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:27 | 16 |
| როტორი | 18 | 1 | 5 | 12 | 17:36 | 8 |

# მასწავლეთ, ბიჭებო
## ოუენი ნახევარზეც თანახმაა



საფეხბურთო მადრიდის ცაზე ახალი ელ გალაქტიკო ელვარებს. ლივერპულელ „ოქროს ბიჭუნას“, მაიკლ ოუენს მშობლიური „ლივერპულის“ ალისფერი სამოსის „რეალის“ 11-ნომრიან მაისურაზე გაცვლის შემდეგ, უახლოესი 4 სეზონის გამავლობაში კასტილიელ ქომაგთა მოჯადოება განუზრახავს. ოუენს ძირითადში დასამკვიდრებლად რაულთან, მორიენტესთან და რონალდოსთან მოუწევს გაჯიბრება, თუმცა მას წინაღობები არ აფრთხობს — კონკურენციის მიუხედავად, ესპანეთში წარმატებაში ეჭვიც არ მეპარება — განაცხადა ოუენმა მადრიდულ „ასთან“ საუბარში

— რას ნიშნავს ოუენისთვის მადრიდის „რეალში“ ჩარიცხა?

— მთელმა მსოფლიომ იცის, „რეალში“ თამაში რასაც ნიშნავს. ძალიან ვღელავ, ეს ჩემს კარიერაში უდიდესი გამოწვევაა.

— „ლივერპულისა“ და „ენფილდ როუდის“ მიტოვება არ გაგიჭირდათ?

— „ლივერპული“ უკვე წარსულად უნდა ჩავთვალოთ. „რეალი“ რაღაც უფრო მეტია, ვიდრე „ენფილდ როუდი“ და მასთან დაკავშირებული ამბები. ვფიქრობ, რომ „რეალში“ საუკეთესო წლები მელის. ესპანეთი ზუსტად ის ქვეყანაა, სადაც გულშემატკივარს ჩემ ფეხბურთს მთელი ძალით ვაჩვენებ.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებთ?

— როგორც ფეხბურთელს, რომელსაც გოლები გააქვს. მე თავდამსხმელი ვარ და ეს ჩემი მოვალეობაა. თანაც „ბერნაბეუზე“ დღეს დიდებული ბიჭები ბურთაობენ. მინდა, ოუენის გატანილი ბურთები მათაც მალე დაინახონ. იმედია, უკმაყოფილოები არ დარჩებიან...

— რაული, რონალდო, ზიდანი, ბექემი... თანაგუნდელებად გალაქტიკოსთა მთელი არმადა გეყოლებათ....

— ძალიან მიხარია, რომ აქ მსოფლიოს საუკეთესო მობურთალები არიან — მათგან, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება, უამრავ რამეს ვისწავლი.

— ალბათ გსმენიათ, „სანტიაგო ბერნაბეუს“ საკმაოდ ჭირვეული ინჩადა ჰყავს — თქვენგან, ისევე როგორც სამეფო გუნდის ნებისმიერი სხვა წევრისგან, ოდენ ლამაზ ფეხბურთს მოითხოვენ. „რეალის“ გულშემატკივრებზე რას იტყით?

— სრული უფლება აქვთ, ეს მოითხოვონ — ბოლოს და ბოლოს, ისინი მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ფანები არიან.

— კასტილიური გრანდის ძირითადში მოსახვედრად რაულთან, რონალდოსთან და მორიენტესთან რთული კონკურენცია გელოდებათ...

— თქვენ ახლა უძლიერესი ფორვარდები ჩამოთვალეთ, ამიტომაც „რეალის“ ძირითადში დასამკვიდრებლად უმაღლეს დონეზე თამაში მომიწევს. მიუხედავად კონკურენციისა, საპრიმერო წარმატებებში ეჭვი არ მეპარება.

— „ბერნაბეუს“ როგორ მოგეწონათ?

— ზღაპრული სტადიონია.

— ესპანეთზე თქვენი პირველი შთაბეჭდილებებიც გაგვიმხილეთ...

— თქვენი ქვეყანა ინგლისისგან განსხვავდება, მაგრამ აქ ყოფნა მაინც ძალიან მომწონს. ვატყობ, ესპანელ ფანებსაც ვუყვარვარ — აეროპორტში შესანიშნავი დახვედრა მომიწყვეს.

— ყველაზე მნიშვნელოვანის შესახებ დასასრულს უნდა გვითხრათ: რამდენ გოლს გვპირდებით?

— ზუსტ რიცხვს წინასწარ ვერ გეტყვით. მე იმ გოლების ნახევარითაც კმაყოფილი დავრჩები, რაც შარშან „ლივერპულის“ შემადგენლობაში გავიტანე.



„რეალში“ მაისურების გადაცემა ალფრედო დი სტეფანოს ევალება

# სად არის დელ პიერო?!
## ლიპი ხმაურით იწყებს



მარჩელო ლიპი

მარჩელო ლიპის პირველ სანაკრებო ბანაკში სამი ახალწვეულია — მანუელე ბლაზი, ლუკა ტონი და ფრანჩესკო ფლაკი. არ არის ალესანდრო დელ პიერო!

მას მერე, რაც კრისტიან ვიერი დაშავდა და ნათელი შეიქნა, რომ ოთხშაბათს ისლანდიელებთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს, პირველი, რაც იტალიურმა პრესამ ივარაუდა, „პალერმოს“ თავდამსხმელის, ტონის კანდიდატურა გახლდათ.

ფლაკიმ გასულ სეზონში „სამპდორიაში“ გამოიჩინა თავი, ხოლო ბლაზი „იუვენტუსში“ გადაიყვანეს და სწორედ ამით გახდა საინტერესო.

აღსანიშნავია, რომ „სკუადრა აძურას“ წამყვან მოთამაშეთაგან დელ პიეროს გარდა აგრეთვე არ არიან ანტონიო კასანო, ფრანჩესკო ტოტი, მაურო კამორანეზი, მასიმო ამბროზინი, კრისტიანო ძანეტი, ბერნარდო კორადი, ფაბიო კანავარო და ზემოხსენებული ვიერი. და მაინც, ყველაზე დიდი ყურადღება დელ პიეროს ნაკრებსგარეთ დატოვებამ გამოიწვია. მოგეხსენებათ, მარჩელო ლიპი და დელ პიერო წლობით თანამშრომლობდნენ



ლუკა ტონი



ალესანდრო დელ პიერო

„იუვენტუსში“, თუმცა ლიპიმ სიტყვით მაინც გააბათილა ჭორები, თითქოს დელ პიეროს ეპოქა მისი „სკუადრა აძურას“ სათავეში დანიშვნით დასასრულს მიუახლოვდა.

„ალექსი მნიშვნელოვანი ფეხბურთელია — ბრძანა მან — მის ძალას ნათლად ადასტურებს ნაკრებსა და კლუბში წლობით გატარებული მატჩები, შედეგები და ის, თუ როგორ ართმევს თავს გულშემატკივრებსა და პრესასთან ურთიერთობას. მწამს, იგი მალე აღიდგენს ფორმას“.

**პაპუნა ძიდია**

# ვისი ხარ, ფილიპ?
## მექსეშის რომაელობას ფიფაც გაარჩევს

ფილიპ მექსეშს „ოსერთან“ პრობლემები აქვს, „რომა“ კი ამ დროს ადასტურებს, რომ ნამდვილად აპირებს ფრანგი ფეხბურთელის ყიდვას. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს მექსეშმა ამხანაგური შეხვედრები რომაელთა წითელ-ყვითელი ფორმით ჩაატარა, მაგრამ თურმე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი უკვე რომაელია. ერთი სიტყვით, მექსეში ოფიციალურ შეხვედრებს „რომას“ შემადგენლობაში ჯერ ვერ ჩაატარებს.

აღსანიშნავია, რომ ფრანგი ფეხბურთელის გაწელილ დავას თავის ყოფილ გუნდთან აგერ უკვე ორი თვეა, ფიფაში საგანგებოდ აკვირდებიან, მაგრამ ჯერ გადაჭრით ვერაფერს ამბობენ. ახლა კი უკვე თავად მექსეში გააქტიურდა და განაცხადა, რომ წესის თანახმად, ფიფამ საქმის გამო მსჯელობა და ჭოჭმანი 60 დღეზე მეტად აღარ უნდა გაჭიმოს.

ამასთან ერთად, „რომას“ ალბერტო ჯილარდინოს „პარმაში“ დარჩენით გამოწვეული პრობლემაც აწუხებს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გუნდს ისევ სჭირდება თავდამსხმელი, არადა, ნაპოვნი ეგონა.

„ჩვენ აუცილებლად ვიპოვნით ვინმეს“ — დაიქადნა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ.

ამბობენ, რომ ბალდინი „დეპორტივო ლა კორუნიადან“ დიეგო ტრისტანის, „ინტერიდან“ ხულიო კრუზის ან ბრაზილიელი ლუიშ ფაბიანუს გადაბირებას აპირებს. უფრო იაფი ვარიანტი 24 წლის იტალიელის, ბრეშელი ანდრეა კარაკიოლის შეძენაა.

**პაპუნა ძიდია**



ფილიპ მექსეში



„რეინჯერსის“ პირველი გოლი დადო პრსომ გაიტანა

# რეინჯერსი და არველაძე გამოსწორდნენ

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. II ტური

**რეინჯერსი 4:0 ლივინგსტონი**

1:0 პრსო (6), 2:0, 3:0 ჰიუზი (32, 78), 4:0 არველაძე (88)

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, ენდრიუსი, ბუმსონგი, ვინალი (ვანოლი 64), ს. ჰიუზი, ა. რაე, ლოვენკრანდსი (ადამი 85), ნოვო, არველაძე, პრსო (ს. ტომპსონი 68)

*ზურაბ ხიზანიშვილი ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: ბრინსი

48 102 მაყურებელი

**ჰართსი 0:0 აბერდინი**

**კილმარნოკი 2:4 სელტიკი**

1:0 მაკდონალდი (14), 1:1 ჰართსონი (15), 2:1 უოლესი (28), 2:2, 2:3 ა. ტომპსონი (36, 44), 2:4 ჰართსონი (70)

**მოზერუელი 1:2 ჰიბერნიანი**

0:1 ოკონორი (2), 1:1 ოდონელი (20), 1:2 ოკონორი (78)

**დანდი იუნ. 1:2 დანდი**

0:1 ლოველი (17პ), 0:2 ჯ. სატონი (47), 1:2 არჩიბალდი (90)

**ინვერნესი 2:0 დანფერმლაინი**

1:0 გოლაბეკი (12), 2:0 ხუანხო (70)

„რეინჯერსმა“ ახალი სეზონის ძალიან ცუდად დაწყების მერე, მეორე ტურში „ლივინგსტონს“ გადაურბინა და წელში გაიმართა. ძალიან ცუდ სტარტში კი საპირველტურო ფრეს ვგულისხმობთ — შოტლანდიაში ხომ „რეინჯერსის“ და „სელტიკის“ ვერმოგება ყოველთვის მოვლენაა.

„ლივინგსტონთან“ კი „ჩაფრებს“ პრობლემები არ შექმნიათ და რაც ჩვენთვის გამორჩეულად სასიამოვნოა, ერთი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა. გარდა ამისა, ქართველმა ფორვარდმა კიდევ ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა — მეორესა და მესამეში. ერთ შემთხვევაში მან ორი ლივინგსტონელი მოატყუა და ბურთი ლოვენკრანდს გადააბარა, იმან პრსოს, ვისგანაც ბურთი ნოვომ მიიღო და ჰიუზს საგოლედ მიაწოდა. მომდევნო საგოლე კომბინაცია კი უფრო მოკლე გამოდგა: არველაძე-ტომპსონი-ჰიუზი.

უფრო ადრე, პირველ და მეორე გოლებს შორის, არველაძის თავური მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ჰართსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰიბერნიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლივინგსტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ინვერნესი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| აბერდინი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| დანდი იუნ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დანფერმლაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მოზერუელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### I დივიზიონი. II ტური

ფოლკირკი — ჰამილტონი 1:1; პარტიკი — ერდრი 3:2; რეითი — კლაიდი 2:3; როსი — სენტ მირენი 1:1; სენტ ჯონსტონი — ქუინი 1:3

### II დივიზიონი. II ტური

ალოა — ფორფარი 2:3; არბროთი — დამბარტონი 0:2; ეარი — ბერვიკი 2:1; ბრეჩინი — სტირლინგი 0:3; მორტონი — სტრანრარი 3:1

### III დივიზიონი. II ტური

ალბიონი — ისტ ფაიფი 2:0; კოუდენბითი — სტენჰაუზმური 0:6; ისტ სტირლინგი — გრეტნა 1:2; ელგინი — ქუინზ პარკი 1:0; მონტროუზი — პიტერჰედი 0:1

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ბელგია

### იუპილერლიგა. II ტური

**სტანდარდი 1:2 შარლერუა**

1:0 ბანგურა (27), 1:1 ჩაბო (41), 1:2 ბრონო (45)

**ანდერლეხტი 2:1 სენტ ტრუიდენი**

1:0 იესტროვიჩი (47), 2:0 დინდანე (70), 2:1 იმშო (71)

**ლუვიე 2:1 სერკლ ბრიუგე**

0:1 დესმეტი (7), 1:1 იშიაკუ (57პ), 2:1 მამუნი (88)

**ლოკერენი 1:0 ბრიუსელი**

1:0 ადემილსონი (48)

**გენკი 0:0 მუსკრონი**

**ვესტერლო 2:1 ლიერსი**

1:0, 2:0 დოსუნმუ (3, 35), 2:1 რაიმაკერსი (51)

**ბეერსხოტი 4:0 ოსტენდე**

1:0, 2:0 დ. სილვა (26, 48), 3:0 მ. კამარა (61), 4:0 დ. სილვა (63)

**მონსი 2:2 ბევერენი**

1:0, 2:0 ალოუ-დატი (5, 33), 2:1 რომარიჩი (43), 2:2 ებურე (50)

**ბრიუგე 5:0 გენტი**

1:0 ბალაბანი (19), 2:0 გ. ვერჰეინი (40), 3:0 სიმონსი (66), 4:0 ვ. ოლივეირა (70), 5:0 კორნელისი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეერსხოტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ლუვიე | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| მუსკრონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ვესტერლო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ლოკერენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გენკი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| შარლერუა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| ბევერენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| მონსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სერკლი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| სტანდარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლიერსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სენტ ტრუიდენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ოსტენდე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |
| ბრიუსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| გენტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## იტალია

### თასის I ეტაპი. I მატჩები

ალბინოლეფე — პრო პატრია 2:0; აველინო — სალერნიტანა 1:3; ვენეცია — ტრევიზო 1:1; ბარი — მესინა 1:2; კატანია — კატანძარო 2:0; ემპოლი — ჯენოა 0:2; ლუმეცანე — ტორინო 1:5; მოდენა — ტრიესტინა 0:1; პიაჩენცა — ფიორენტინა 0:0; ვიჩენცა — ატალანტა 2:4; ასკოლი — არეცო 1:0; ჩეზენა — ლივორნო 1:1; პერუჯა — ტერნანა 2:0

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. V ტური

დინამო — ტავრია 1:0; ჩერნომორეცი — ილიჩევეცი 0:1; დნიპრო — ვოლინი 1:0; ვორსკლა — შახტარი 0:2; ბორისფენი — კრივბასი 0:0; მეტალურგი (ზ) — მეტალისტი 1:4; არსენალი — ობოლონი 1:0; მეტალურგი (დ) — ზაკარპატია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:1 | 15 |
| მეტალურგი (დ) | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| დნიპრო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| მეტალისტი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:10 | 9 |
| ვოლინი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | 9 |
| ვორსკლა | 5 | 2 | 0 | 3 | 4:4 | 6 |
| ილიჩევეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| კრივბასი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| ჩერნომორეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| მეტალურგი (ზ) | 5 | 0 | 4 | 1 | 3:6 | 4 |
| ტავრია | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |
| ბორისფენი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| ზაკარპატია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| ობოლონი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:4 | 2 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. I ტური

**ბრედა 3:2 უტრეხტი**

0:1 კალაბრო (5), 1:1 ენგელაარი (7), 1:2 დ. ვან დენ ბერგი (41), 2:2 ბუსაბუნი (63), 3:2 დიბა (66)

**როზენდალი 2:5 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 სმოლდერსი (22), 1:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (31), 2:1 სმოლდერსი (40), 2:2 სიბონი (59), 2:3, 2:4 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (62, 74), 2:5 ბესლი (76)

**ალკმაარი 1:1 ჰერენვენი**

1:0 ჰიუსგემსი (11), 1:1 ჰუნტელაარი (78)

**ნაიმეგენი 2:0 ტილბურგი**

1:0 ბუტაჰარი (7), 2:0 დენებოომი (20)

**როდა 2:3 ვიტესი**

1:0 კრისტიანო (26), 1:1 ჰოფსი (32), 2:1 ბოდნარი (40), 2:2 ჰოფსი (73), 2:3 ტ. იანსენი (85)

**ტვენტე 2:3 აიაქსი**

0:1 მული (30), 0:2 ვან დერ ვაარტი (40), 0:3 იბრაჰიმოვიჩი (46), 1:3 ტუზანი (48), 2:3 ნკუფო (68)

**ფეიენოორდი 6:1 გრააფსხაპი**

1:0, 2:0 კუიტი (9, 36), 2:1 ბიუკერინგი (45), 3:1 კუიტი (54), 4:1 კასტელენი (57), 5:1 კარილიო (62ს.კ.), 6:1 ს. კალუ (75)

**დენ ბოსხი 1:0 დენ ჰააგი**

1:0 ვან დერ ლააკი (81)

**გრონინგენი 0:0 ვალვაიკი**

### II დივიზიონი. I ტური

ემენი — ზვოლე 0:1; ექსელსიორი — ეინდჰოვენი 2:1; იგლსი — ვეენდამი 0:1; ჰაარლემი — მაასტრიხტი 2:0; ჰელმონდი — სპარტა 2:2; ჰერაკლესი — ტელსტარი 1:0; ოსი — დორდრეხტი 5:1; სიტარდი — აპელდორნი 3:1; ვოლენდამი — კამბური 4:0

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. II ტური

დრნოვიცე — სპარტა 2:3; ოპავა — ბოლესლავი 2:1; ბლშანი — ბრნო 0:1; ბუდეიოვიცე — პრჟიბრამი 0:0; იაბლონეცი — ბანიკი 1:1. *სლავია — ლიბერეცი და სლოვაცკო — სიგმა დღეს გაიმართება, ტეპლიცე — ზლინი 25 აგვისტოს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრნო | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პრჟიბრამი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სიგმა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ტეპლიცე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ზლინი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოპავა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბოლესლავი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სინოტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბანიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| იაბლონეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლიბერეცი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბლშანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სლავია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| დრნოვიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. V ტური

მატერსბურგი — გრაცერი 0:1; პაშინგი — ადმირა 0:3; ზალცბურგი — ბრეგენცი 4:2; აუსტრია — ტიროლი 2:2; შტურმი — რაპიდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:2 | 12 |
| რაპიდი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| ადმირა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:4 | 9 |
| პაშინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ზალცბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| აუსტრია | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| შტურმი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| ტიროლი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:7 | 6 |
| მატერსბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| ბრეგენცი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:16 | 1 |

### I დივიზიონი. V ტური

ალტახი — აუსტრია (ლ) 4:0; გრატკორნი — ლეობენი 0:2; უნტერზიბენბრიუნი — რიდი 1:1; კაპფენბერგი — ვიორგლი 3:0; ლინცერი — კერნტენი 0:8

## ნორვეგია

### თასის მეოთხედფინალი

*ლინი — ჰამ კამი 3:1; ლილესტრიომი — რუსენბორგი 3:2; სანდეფიორდი — სტაბეკი 3:4; ბრანი — ბრინი 3:2*

## შვეიცარია

### სუპერლიგა. V ტური

**შაფჰაუზენი 0:1 თუნი**

0:1 [illegible] (31)

**ციურიხი 1:3 აარაუ**

0:1 ბიელი (22), 1:1 ა. პეტროსიანი (34), 1:2 ბიელი (78), 1:3 დუგიჩი (81)

**ქსამაქსი 3:0 სერვეტი**

1:0 მარგარიაცი (57), 2:0 რეი (59), 3:0 მფუტი (73)

**სენტ გალენი 0:0 გრასჰოპერი**

**იანგ ბოისი 1:1 ბაზელი**

1:0 შაპუიზა (23), 1:1 კარინანო (48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თუნი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:2 | 12 |
| ბაზელი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 11 |
| ქსამაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ციურიხი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| აარაუ | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| იანგ ბოისი | 4 | 1 | 2 | 1 | 11:8 | 5 |
| სენტ გალენი | 5 | 1 | 2 | 2 | 10:11 | 5 |
| შაფჰაუზენი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| სერვეტი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:14 | -2 |

*„სერვეტს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ჩელენჯლიგა. III ტური

ლუცერნი — ბოლმი 6:0; ბულე — ბადენი 2:0; მეირინი — იუვენტუსი 2:0; სიონი — ვოლენი 1:1; ივერდონი — კრინსი 2:1; კონკორდია — ბელინცონა 2:1; ლუგანო — შო დე ფონი 3:1; კიასო — ვილი 3:1

## თურქეთი

### სუპერლიგა. II ტური

გაზიანთეფი — გალათასარაი 1:0; ანკარა — მალათია 1:3; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 0:0; დიარბაქირი — ქაისერი 2:1; ფენერბაჰჩე — სამსუნი 2:1; საქარია — დენიზლი 1:2; გენჩლერი — ბეშიქთაში 1:1; ქონია — რიზე 0:0; ტრაბზონი — სებათი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| დენიზლი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| მალათია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| დიარბაქირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გენჩლერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ანკარა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| გაზიანთეფი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| რიზე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ისთანბული | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სამსუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| საქარია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ქაისერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| სებათი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## დანია

### სუპერლიგა. IV ტური

რანდერსი — ორჰუსი 0:3; ოლბორგი — ვიბორგი 1:2; ბრონდბიუ — მიდტიულანდი 2:1; ჰერფიოლგე — ნორდსიელანდი 0:2; სილკებორგი — ესბიერგი 2:1; კოპენჰაგენი — ოდენსე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილკებორგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 10 |
| ოდენსე | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ბრონდბიუ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ვიბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ჰერფიოლგე | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| მიდტიულანდი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| ორჰუსი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ესბიერგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ნორდსიელანდი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| კოპენჰაგენი | 4 | 0 | 3 | 1 | 7:8 | 3 |
| ოლბორგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| რანდერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XXIII ტური

დუბლინი — დერი სიტი 0:2; შემროკი — უოტერფორდი 1:2; ბოჰემიანსი — დროჰედა 0:0; კორკ სიტი — შელბურნი 0:1; ლონგფორდი — სენტ პატრიკსი 2:1

## იაპონია

### ჯეი ლიგა. 1 ტური

კაშიმა — კაშივა 1:0; იჩიჰარა — ჰიროშიმა 2:1; ვერდი — ნიიგატა 2:0; ნაგოია — გამბა 1:2; სერეზო — ტოკიო 4:3; კობე — ურავა 2:3; ოიტა — ივატა 1:1; შიმიცუ — იოკოჰამა 1:2

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა 16 ტური

ზესტაფონი. 14 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 1:4 ლოკომოტივი

0:1 გ. ონიანი (24), 1:1 ჩილვინაძე (27), 1:2 გაგუა (42), 1:3 ქებაძე (80), 1:4 ჩხაიძე (83)

ზესტაფონი: თ. ოდიკაძე, რაქვიაშვილი, ძამსაშვილი, ხინგავა (კახნიაშვილი 60), შუკაკიძე, ბ. ნოზაძე, ნუდნი, ზავგულიძე, თურმანიძე (შამათავა 77), ვ. ქუთათელაძე (ქურციკიძე 46), ჩილვინაძე
სათადარიგონი: ცინაძე; ი. ბარბაქაძე, მელიქია, სულაკაძე
მწვრთნელი: ვლადიმირ ზემლიანოი

ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ლ. ქებაძე, სიჭინავა, ლაცაბიძე, ლ. ჩხაიძე (დევიძე 87), რ. ონიანი, გაგუა (სანიკიძე 86), მ. ბობოხიძე (გ. ბარბაქაძე 83),
სათადარიგონი: ბათიაშვილი; კირვალიძე, სირბილაძე, კიკალიშვილი
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროლლი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

# არ ვჭამთ! ზესტაფონში უყველო ხაჭაპურს არიგებენ



ზესტაფონელთა მეკარის, თამაზ ოდიკაძის ის ამაო ნახტომი, ვალერი გაგუას თავურს რომ მოჰყვა

ოთარ მაღლაკელიძე ზესტაფონიდან

ზესტაფონელ ქომაგთა იმედი, ჩვენები პირველ ქულებს ან ქულას მაინც აიღებენო, იმედადვე დარჩა. ბევრმა კი, შაბათის თამაშის შემყურემ, უახლოეს ტურებში წარმატებაზეც ალბათ ხელი ჩაიქნია. უცხოელმწვრთნელიანმა და თითქმის მთლიანად ნაწვევი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა იმერულმა გუნდმა ვერც ამჯერად შეძლო ბურთის ხეირიანად გაგორება.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ზესტაფონელთა მეორე მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ უშედეგო თამაში შეუთამაშებლობით ახსნა. გულშემატკივრები კი წარუმატებლობას თავისებურად ხსნიან, რაც სიმართლესთან უფრო ახლოა — გუნდს არ ჰყავს შემადგენლობა, რომელიც, თუნდაც შეთამაშებული, უმაღლეს ლიგაში დარჩენას შეძლებს, მით უმეტეს, ასეთი სტარტის შემდეგ.

ახლა თამაშზე. საწყის ტურებში გოლისუნახავმა „ლოკომოტივმა“ ზესტაფონში ეს ოთხჯერ შეძლო. შეთამაშების პრობლემა რკინიგზელებსაც აქვთ, თუმც შაბათს მოსაგებად ცალკეულ ფეხბურთელთა ყოჩაღობაც ეყოთ.

ანგარიში 24-ე წუთზე საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გიორგი ონიანმა გახსნა და თითქოს „ზესტაფონისთვის“ ყველაფერი მაშინვე დამთავრდა, მაგრამ სამიოდ წუთში ჩილვინაძემ გაათანაბრა და უკმაყოფილოდ მობუზღუნე ტრიბუნები გამოაცოცხლა. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ დროებით. ინიციატივა ისევ სტუმრებმა იგდეს ხელთ, რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს და ტაიმის ბოლოს გაგუამ თავურიც გაიტანა.

მეორე ნახევარში იმერლებმა ერთხელაც გაიხარეს. ეს ტაიმის დასაწყისში მოხდა, როცა ინფორმატორმა ნესტორ ხერგიანის ფინალში გასვლა გამოაცხადა. თამაში კი ძველი სცენარით გაგრძელდა, უტემპოდ და უჯიგროდ, „ლოკომოტივის“ კიდევ ორი გოლით.

*ზაურ სვანაძე:* პირველი ქულები ავიღეთ და, ცხადია, გახარებული ვარ. დღეს ბიჭებმა დავალება შეასრულეს, თუმც ჩვენი მთავარი პრობლემა ჯერ მაინც შეუთამაშებლობაა. ცალკეული ფეხბურთელების კვალობაზე აშკარად უკეთესი გუნდი უნდა გვყავდეს. იმედია, მალე ასეც იქნება. დღეს „ლოკომოტივში“ პირველად ითამაშა მიხეილ ბობოხიძემ. მას თითქმის 2 თვე გაუცდა და ამის მიუხედავად, მგონი, ნორმალურად გამოიყურებოდა.

*ზაურ ჩუბინიძე:* ორი თვეა გუნდის შეკრებიდან გასული და, როგორც ხედავთ, შესათამაშებლად ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა, თან უმაღლესი ლიგის დონის ფეხბურთელთა ნაკლებობასაც განვიცდით. ამიტომაც დაკომპლექტება კიდევ გრძელდება. ჯაფარიძე და ბეჟენარი უკვე გავუშვით. ორმა ახალწვეულმა, თურმანიძემ და ძამსაშვილმა კი დღეს ითამაშეს. ვეცდებით, მდგომარეობა გამოვასწოროთ და ის ფეხბურთი ვაჩვენოთ, ზესტაფონს რომ ეკადრება.

# ტორპედო: ის არაო, ეს ვერაო და ... იგებს

ფოთი. 14 აგვისტო. 17 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:1 ტორპედო

0:1 მეგრელაძე (27)

კოლხეთი: ქვაჩახია, ქუტიძე, ჭითანავა, გოროზია, მ. ქობულაძე (ე. მარგალიტაძე 62), დ. ნარსია (კუნჭულია 88), აკობია, ჯ. შალამბერიძე, გ. თოდუა (თაყაძე 46), ძოძუაშვილი, ზ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: ჩემია; გ. კილასონია, ხაჟომია, გ. ტყებუჩავა
მწვრთნელი: დავით მახარაძე

ტორპედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, ებრალიძე, ს. თოდუა, მემარნიშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, გ. ჩხეტიანი (მუმლაძე 61), მეგრელაძე
სათადარიგონი: გ. გაბელია; რევაზიშვილი, ლალაძე, ნ. ნადირაძე, ადეიშვილი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: ნარსია (33), შალამბერიძე (74)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

ვინ იფიქრებდა, ფაქტობრივად შეკრებაგაუვლელი და მოუმზადებული „ტორპედო“ ჩემპიონატის სამ ტურს ისე მოილევდა, ქულათა მაქსიმუმს მოინაგრავდა და თავად კინკილა ბურთსაც არ გაუშვებდა. ოთარ გაბელიას შეგირდებმა შაბათს მძიმე ბრძოლით მოახერხეს ეს ყველაფერი და ლიდერთა მარაქაშიც გაერივნენ.

უცნაურია „კოლხეთის“ ცხრილის ფსკერზე დალექვა. გუნდმა სეზონისწინა შეკრებაც მოიწყო და არც უფულობას უჩივის დიდად, მაგრამ... კოლხებს აღარც კი ახსოვთ, ზედიზედ სამჯერ სტარტზე როდის წააგეს.

არადა, დათო მახარაძის ბიჭებს წასაგები თითქოს არაფერი ჰქონდათ. მეტოქისთვის ტოლი არაფერში დაუდიათ და აკი საკმაოდ დაძაბული ბურთაობაც გაჩაღდა. დებიუტი მასპინძლებისა იყო და პირველი 15 წუთი სტუმრები გვარიანად აჭრილნი ჩანდნენ. უკვე მე-5 წუთზე მოუწია საქმეში ჩართვა სტურუას, რომელიც ფხიზლად შეეგება აკობიას ტყვიასავით გასროლილს. მალე მას ძელი შეეშველა, როცა ძოძუაშვილის პასზე საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილი ნარსია ახლო კუთხეში ძლიერად ურტყამდა. წუთიც და იმავ ძოძუაშვილის მიერ საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ოდნავ უზუსტო გამოდგა. კოლხთა ფორვარდს მალევე მიეცა გატანის უკეთესი შანსი. მაღალ ბურთზე პოზიციურად შესცოდა გამეზარდაშვილმა და ძოძუაშვილს უხეიროდ რომ არ მოექნია ფეხი, სტურუა უძლური იქნებოდა.

ეს იყო და, „ტორპედო“ გონს მოეგო. ამის ნიშანი ნერგაძის 30 მეტრიდან დაქუხებული იყო. ბურთი საშინელი ძალით შეეხეთქა ძელს. ორ წუთსაც არ გაევლო, მანვე მოედნის სიღრმიდან შეტევა წამოიწყო და მარცხნივ კოშკაძეს გაუჭრა. ამას კი ბურთი აეჭრა.

მალე მატჩის ერთადერთი გოლიც გავიდა, რომელიც გია მეგრელაძის ჩინებულ თამაშს მოჰყვა. მან ბოლქვაძის პასი დაახლოებით საპენალტოს მიდამოებში მიიღო. კარისკენ ზურგით მდგომმა ეფექტური ბრუნი გააკეთა, მეურვე სიჭინავაც სახტად დატოვა და ქვაჩახიასაც აუღებელი დაურტყა.

წესით, ამ გოლს კოლხები უნდა გაელიზიანებინა, მაგრამ სტუმრებს იმდენად მყარად ეპყრათ მატჩის სადავეები, შესვენებამდე ღირებული არაფერი მომხდარა. მეორე ტაიმში კი ყველაფერი თავიდან დაიწყო და კვლავ „კოლხეთი“ მიეძალა შეტევებს. სტურუასაც ბევრი თავსატეხი გაუჩნდა და აკი საუკეთესოც იყო. 55-ე წუთზე იმერელ მცველებს ქუთათელაძე გაეპარათ და ორი ზვიადის დუელში მეკარემ იმარჯვა, თუმც ისიცაა, რომ კოლხს თავური ნაჩქარევი გამოუვიდა.

სამ წუთში გამეზარდაშვილი აღმოჩნდა საჭირო ადგილას და ძოძუაშვილის დარტყმული ლამის ცარიელი კარის ხაზიდან უკუაგდო. ბევრ დროს არ გაევლო, კვლავ სტურუას რომ მოუხდა ზედიზედ ორჯერ გუნდის გადარჩენა. ჯერ იყო და, აკობიას კარგ დარტყმულს დაუხვდა ჯეროვნად, ორიოდ წუთში კი ისევ ძოძუაშვილის სოლორეიდს მოყოლილ გასროლას დაუდგა მშვიდად.

ამასობაში კი „ტორპედოს“ ინტრიგის მოშთობაც შეეძლო. საჯარიმოდან მემარნიშვილის მოგერიებულ ბურთს ცენტრში კოშკაძე დაუხვდა და მარტოც დაიძრა კოლთხა კარისკენ. დადევნებული მცველის სუნთქვამ ის ააჩქარა და წინ გამოსული ქვაჩახიას თავს ზემოთ ბურთის გადაგდება ასურვებინა. ჰოდა, ვერ მოზომა, კოლხთა კარის დარაჯი ბურთს იოლად შესწვდა.

„კოლხეთმა“ თამაშის გადასარჩენად ბოლო ძალები მოიკრიბა, მაგრამ მეტოქის უკანა ხაზი შეუვალი აღმოჩნდა. თუმც წამატებულ წუთებში ანგარიში უნდა გათანაბრებულიყო. ფლანგიდან ჩაწოდებულზე აკობიამ ბურთს თავური ისე შეაგება, ხელს არავინ უშლიდა, თუმც შვიდიოდ მეტრიდან პირდაპირ სტურუას მოარტყა.

# ჭელიძე მეტალურგია

## ჯაკობია ქირესთან პასებით ჩამოდის

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს“ მცველი ლაშა ჭელიძე უკრაინაში გადაბარგდა. ჭელიძემ უკვე გააფორმა კონტრაქტი ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ და გუშინწინ ჩემპიონატშიც შეეშველა ახალ გუნდს. ეგაა, ჩვენებურის დებიუტი უიღბლო გამოდგა — ხარკოვის „მეტალისტთან“ მატჩში 30-ე წუთზე შესული ჭელიძე დაშავდა და 75-ეზე შესაცვლელი შეიქნა.

ზაპოროჟიელებმა 1:4 წააგეს ხარკოველებთან. „მეტალურგში“ კი სიახლე ისიცაა, რომ რამდენიმე დღის წინ „თბილისიდან“ აბარგებული ირაკლი მოდებაძე სათადარიგო იყო. გეხსომებათ, მოდებაძემ წინა სეზონის დასრულებისთანავე დატოვა უკრაიანა და უეფას თასისთვის შემზადებულ „თბილისს“ შეეკედლა, თუმც ზაპოროჟიელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ქართველ თავდამსხმელს ვერ შეველევითო. ირაკლისაც უკან დაბრუნებამ მოუწია, თუმც ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი ჯაფა ელის.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ „მეტალურგის“ დამარცხებაში მნიშვნელოვანი სიტყვა ლაშა ჯაკობიამ თქვა. საქართველოს ნაკრებში გამოხაძებული თავდამსხმელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ მატჩში და ორი საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი. დღეს კი ჯაკობია ნაკრებს შეუერთდება და მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის მზადებას დაიწყებს.

კახა შალამბერიძე



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

ოთარ მარცვალაძემ თავისი გატანილი თავადვე გამოიტანა

გორი. 15 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:3 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 კ. ხანიშვილი (7), 1:1, 1:2 მარცვალაძე (70, 77), 1:3 სახოკია (90) | |
| დილა: თ. ილურიძე, გ. ბალაშვილი, ლომიძე, კ. ნადირაძე, დ. ხანიშვილი, ჯობაძე (ქარქუზაშვილი 46), შატაკიშვილი, მასურაშვილი, რაზმაძე, კ. ხანიშვილი, წურწუმია; სათადარიგონი: მაისურაძე; კურატაშვილი, თომაშვილი, შუბითიძე; მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი (ებანოიძე 67), გ. გოჩაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლიძელაშვილი, გველესიანი, ე. მერებაშვილი (კვახაძე 34), მარცვალაძე, ადამია (სახოკია 88); სათადარიგონი: ბედიაშვილი; ქოქიაშვილი, მალიჩავა; მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე | |

# კაი კი იყო, მაგრამ ერთი იყო მარცვალაძე - ადამიას აქეთური-იქითური

**დავით ერაძე** გორიდან

გორში ათასჯერ ნანახი კი ვნახეთ, ოღონდ გუნდებმა საქმე უფრო მხიარულად აკეთეს და მომენტებიც მრავლად იყო. „დილა“ ისევ ერთი ტაიმის გუნდად გამოჩნდა. თანაც ისედაც სკამმოკლე გორელებს დისკვალიფიცირებული ლაბაძე და მგელაძე აკლდნენ, რაც მათთვის საგრძნობი დანაკლისია. „ვიტ ჯორჯიას“ თამაშის ხარისხი და სიმწვავე კი კვლავაც ორ ფეხბურთელზე ჰკიდია — ადამია-მარცვალაძეზე. გუშინ ორივე შეუჩერებელი იყო და ამან შედეგიც გამოიღო. აღსანიშნია გოჩაშვილის უნივერსალობაც, მან თამაში მარცხენა ნახევარმცველად დაიწყო, თავდამსხმელად გააგრძელა და მარცხენა მცველად დაასრულა.

ადამიამ კუთხურიდან ორჯერ კარში დააბზრიალა ბურთი და ორივეჯერ საგოლედ. მანამდე კი გორელმა ხანიშვილმა გაისროლა. კობამ 35 მეტრიდან ლონივრად დაჰკრა, ბურთმა რკალისებური ტრაექტორია მოხაზა და წინგამოსული მამარდაშვილის უკან ტყვიასავით ჩაეშვა. სხვა რომ არაფერი მომხდარიყო, გორში ჩასვლა ამ გოლის სანახავადაც ღირდა. გაშვებულმა გოლმა იოლი მოგების მომლოდინე თბილისელები გამოაფხიზლა. მე-10 და მე-12 წუთებზე ადამიას ორი მომენტი შეექმნა. მან ჯერ ჯარიმიდან ოდნავ ააცილა, მერე კი ილურიძესთან პირისპირ დარჩენილმა დარტყმას სიზუსტე დააკლო. მე-14 წუთზე გორელებს თავიანთი უვარგისი მოედანიც წაეხმარათ, როდესაც მარცვალაძის დარტყმული ოღრო-ჩოღროში ისე ახტა, რომ კარს საერთოდ ასცდა. არადა, ილურიძე უშანსოდ იყო დარჩენილი. ორ წუთში ადამიამ გველესიანს კედელი გაუთამაშა, წინ გამოსულმა ილურიძემ ბურთს ხელი წაარტყა, მარცვალაძემ კი გადმოვარდნილი ბურთი მეკარეს გაარტყა. შეტევით გართულ თბილისელებს „დილას“ კონტრშეტევა გამოეპარათ, თუმც წურწუმიას მამარდაშვილმა აღარ გაატანინა — ურთულესი ბურთი მოიგერია. მომდევნო შეტევა თბილისელებისა იყო. ადამიას კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს კობიაშვილი დაუხვდა მეკარის ბაქანზე და ისე ამოსცხო, კინაღამ ხარიხა მოტეხა. ვეტერინართა მორიგი შეტევისას გოჩაშვილმა ისეთი მაკრატელა გამოაცხო, გორელ ქომაგსაც ტაში დასტყუა, ეგაა, ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა. ტაიმის ბოლოს კი გუნდებმა მომენტები გაცვალეს. ჯერ ადამია შეიჭრა საჯარიმოში, დაარტყა, მაგრამ ილურიძემ ისევ იყოჩაღა, შემდეგ ბალაშვილმა ხანიშვილის რეკორდის დამხობა გადაწყვიტა და ჯარიმა 40 მეტრიდან შეასრულა. ბურთმა ინწკირველის თავიდან თბილისელთა ხარიხა მოიკითხა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე კობიაშვილის თავურმა ისე ჩაისრიალა გორელთა კარის გასწვრივ, რომ ფეხის წამრტყმელი არავინ აღმოჩნდა. 65-ე წუთზე მარცვალაძეს ცარიელ კარში ვერ გააქვს. გორელები ვეტერინარებს ვეღარც სისწრაფეში აჰყვნენ და აღარც ჯანი ერჩოდათ. მატჩის გარდამტეხი ეპიზოდი კი 68-ე წუთზე იყო, როდესაც შატაკიშვილმა წურწუმიას ჩინებული პასი ვერ შეირგო და ფეხებში ჩავარდნილ მამარდაშვილს ბურთი ვერ გადაატარა. ორ წუთში კი ნოზაძის გამოზომილი დიაგონალური პასი ადამიამ მიიღო, თხუთმეტი მეტრი ბურთით და აკიდებული ბალაშვილით ირბინა და საჯარიმოში შევარდნილ მარცვალაძეს თავზე დაასვა — 1:1.

მცირე ხანში უკვე ებანოიძემ ჩაიწერა საგოლე პასი. მას დარტყმაც შეეძლო, მაგრამ უკეთეს პოზიციაში მყოფ მარცვალაძეს უპრობლემოდ გაატანინა. გორელებს თამაშის სათავისოდ შემობრუნება არც უცდიათ, მათ ამისთვის ძალა აღარ ჰქონდათ. წერტილი კი სახოკიამ დასვა. ნოზაძემ ის ილურიძეს შეატოვა, ახალგაზრდა ფორვარდმა მეკარე მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

უქმე დღე კი იყო, მაგრამ გორელთა მეკარე თამაზ ილურიძე უქმად არ ყოფილა

ბათუმი. 14 აგვისტო. 17 საათი. დინამო. 1 500 (ტევადობა 3 000)

## ბათუმი 2:0 სიონი

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 ჭელიძე (9, 69) | |
| ბათუმი: გრიშიკაშვილი, ი. მახარაძე (ხუჯაძე 40), ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, ექონია, მანჩხავა, მალანია (ქაცარავა 46), ი. შენგელია (დარჩიძე 40), ჩიკვილაძე, გ. ნოდ. ჭელიძე, ხომერიკი; სათადარიგონი: ბალაძე; რამიშვილი, ფირცხალაიშვილი, ცანავა; მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | სიონი: ზობლიაშვილი, კობაური, გ. კილასონია, ოქროპირიძე (სოხაძე 46), ცქვიტაია, ნ. ლაბაძე, მიქავა, ფეიქრიშვილი, დ. გოგოლაძე (რუსია 63), გ. დოლიძე (ლამბაშიძე 67), ჩოხელი; სათადარიგონი: ასლანაძე; ალავიძე, დ. უგრეხელიძე, გ. ჩალაძე; მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |
| გაფრთხილება: გოგოლაძე (32) | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე | |

# ბათუმის თილისმა ჭირესი მე გიჟი კი არა ვარ!

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

ჩანს, „ბათუმი“ აღარ ხუმრობს. სამი მატჩი, შვიდი ქულა და, ბათუმელთა მწვრთნელის თქმით, დიდი პოტენციალი, დაგვეთანხმებით, ჩემპიონატში წარმატებული თამაშისთვის კარგი საფუძველია. უკვე მოპოვებული შვიდიდან ოთხი ქულა „ბათუმმა“ სტუმრად, გორში „დილასთან“ და თბილისში „ლოკომოტივთან“ მოიპოვა.

შაბათს კი ბათუმს „სიონი“ სტუმრობდა, წინა ჩემპიონატის მეორეადგილოსანი, თუმც სეზონის მერე დაშლილი და ახლახან შეკოწიწებული. და მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირის წინ „სიონმა“ შინ „დილას“ 0:2 ამოუყირავა და ბოლო წუთზე გამარჯვების გოლიც გაიტანა, „ბათუმთან“ მაინც განწირულად ითვლებოდა.

ეს მატჩი ბათუმელებისა რომ იქნებოდა, საწყის ათ წუთშივე ცხადი გახდა. მასპინძლებმა თამაში თავიდანვე აგრესიულად დაიწყეს და ვიდრე ნოდარის ძე ჭელიძე პირველ გოლს გაიტანდა, იქამდე მასვე და გამოცდილ ლევან ხომერიკს ჰქონდათ. საგოლე მომენტები, თუმც ორივეს დარტყმულს სიზუსტე დააკლდა. სამაგიეროდ, ჭელიძემაც და ხომერიკმაც მე-9 წუთზე ივარგეს. ხომერიკმა ბურთი ცენტრიდან წაიღო, გზად ორი ბოლნისელი ჩამოიშორა და ჩინებული პასი მისცა მეგოლე ჭელიძეს. ბობღიაშვილთან პირისპირ დარჩენილ ბათუმელს გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

„ბათუმი“ ოდნავ დაწყნარდა და შტურმიც გაანელა. სამაგიეროდ, სტუმრები გააქტიურდნენ და მეტწილად შორიდან დარტყმებით ცდილობდნენ ხეირის ნახვას, მაგრამ ჩოხელის, გოგოლაძისა და მიქავას მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. კარგი მომენტი ჰქონდა ფეიქრიშვილსაც, მაგრამ კარის წინ ეულად დარჩენილი ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავით ვერ შესწვდა.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდასავით. ტემპი მაღალი არ იყო, მაგრამ „ბათუმის“ უპირატესობა ისევ ჩანდა. ბოლნისელებს კი აქცენტი კონტრშეტევებზე ჰქონდათ. რამდენიმე კარგი მომენტი გააცუდა წლეულს პირველად მოთამაშე ხომერიკმა, თუმც მისი მოედანზე ყოფნაც კი მცველებს პრობლემებს უქმნის.

საბოლოო წერტილი მატჩს ისევ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ დაუსვა: საჯარიმოში ვიტალი დარჩიძის ჩაწოდებულ ბურთს ფორვარდმა სწორად შეურჩია ადგილი და ბობღიაშვილისთვის აუღებლად დაარტყა.

*ვარლამ კილასონია:* „ბათუმს“ ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვებას და მსიამოვნებს, როცა ამ დიდი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქში კარგი გუნდის შექმნის პერსპექტივას ვხედავ. ამ მატჩში კი „სიონმა“ ფეხბურთი მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა, მერე მოუმზადებლობამ იჩინა თავი და გუნდის თამაშიც აშკარად გაუარესდა. ჩვენ ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ, ვიბრძოლებთ და ჩემპიონატის მიმდინარეობისას მოვუმატებთ.

*ამირან გოგიტიძე:* შედეგით კმაყოფილი კი ვარ, მაგრამ ხარისხზე რა გითხრათ... „ბათუმს“ მეტი შეუძლია. ამ გუნდს დიდი პოტენცია აქვს და მომავალ მატჩებში ეს გამოჩნდება კიდეც. ლევან ხომერიკი ჯერ სასურველ ფორმაში არაა, თუმც მისი ძალა, ალბათ, ყველამ იცის და როცა ჩვეულად ათამაშდება, მეტოქეებს პრობლემებს არ დააკლებს.

„ბათუმი“ — „სიონზე“ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი *ალენ ჟირესიც* იმყოფებოდა და ნამატჩევს მანაც ილაპარაკა.

— „ბათუმისთვის“ ფეხბედნიერი ვარ. ამ გუნდის სამ მატჩს დავესწარი და არცერთხელ დამარცხებულა. უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების ყველა ქალაქში ვიყავი და აგერ, ახლა ბათუმშიც ჩამოვედი. ძალიან ლამაზი ქალაქი ყოფილა, ზღვისპირა ქალაქებს ხომ განსაკუთრებული ხიბლი აქვთ.

საქართველოს ნაკრებს მოლდოვაში თურქებთან მოსამზადებელი მატჩი ელის. სამწუხაროა, მაგრამ გამოძახებულთაგან ხუთი ფეხბურთელი ტრავმის გამო დაგვაკლდა. ვიმედოვნებ, ამ ფეხბურთელთა ჩამოუსვლელობის მიზეზი ნამდვილად ტრავმაა და არა ის, რომ ნაკრებში თამაში არ სურთ.

არ მითქვამს, თურქეთს თურქეთში მოვუგებთო, ჩვენ მოსაგებად მივდივართ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. კაცი გიჟი უნდა იყოს, თქვას, თურქეთში ნაღდად მოვიგებთო...

თბილისი. 15 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 1000 (ტევადობა 70 600)

## დინამო 4:1 თბილისი

| |
|---|
| 1:0 გრიგალაშვილი (24), 2:0 გონჩაროვი (27), 3:0 კაკალაძე (39), 3:1 გეწაძე (86), 4:1 დვალი (90) |
| **დინამო:** მამალაძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, კაშია, გრიგალაშვილი (კანკავა 38), ნემსაძე (მელქაძე 81), კ. ალადაშვილი, კაკალაძე, გონჩაროვი (დვალი 58) სათადარიგონი: თოთლაძე; გიგაური, ხმალაძე, დვალიშვილი **მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე |
| **თბილისი:** დევაძე, ლოლაძე, გ. კვარაცხელია, ორბელაძე, ხოჯავა (გეწაძე 46), აფციაური, ელიავა (ფიფია 46), დ. ოდიკაძე, ქემოკლიძე, ა. სამხარაძე (გ. ნუგ. ჭელიძე 35), მიკუჩაძე სათადარიგონი: შეყრილაძე; მესხი, გ.ვ. მიქაძე, გ. მოდებაძე **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი |
| **გაფრთხილება:** გრიგალაშვილი (35), კვარაცხელია (40), გონჩაროვი (49) |
| **გაძევება:** აფციაური (90) |
| **მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი) |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია |

# დაგვღალა ევროპამ
## თბილისური საქმე დღესვე გაირჩევა


ოთხი ბურთის გამშვები გგყო დევაძე მაინც უბრალო იყო

**კობა ინასარიძე**

ტურისა და პირველი წრის ცენტრალურმა მატჩმა მოლოდინი ვერ გაამართლა. მოლოდინი კი, მოგეხსენებათ, რისიც იყო — დაუნდობელი ბრძოლა, ტემპი, ორმხრივი შეტევები... მოკლედ, „დინამო" — „თბილისისგან" რითაც განებივრებულნი ვართ, გუშინ ის ვერ ვნახეთ და ამის ერთ-ერთი მიზეზი, თუ ერთადერთი არა, გუნდების ფიზიკური მზადება უნდა იყოს. „დინამოც" და „თბილისიც" აშკარად გადაღლილები ჩანდნენ, მათ ხომ ხუთშაბათს უეფას თასზე ითამაშეს, „სლავიასა" და „ლეგიას" დიდი ენერგია შეალიეს, რისი აღდგენაც გუშინდლამდე ვერ მოასწრეს.

თუმც „დინამომ", რომელსაც „თბილისზე" ნაკლები დრო ჰქონდა მოსამზადებლად, ფაქტობრივად ერთი დღე, მეტოქეზე მეტად იყოჩაღა და კაცს ენა არ მოუბრუნდება თქვას, შემთხვევით მოიგოო.

გასაკვირი იყო, „დინამომ" მრისხანე მეტოქე, საჩემპიონოდ უმთავრესი კონკურენტი ისე დაჯაბნა, თითქოს „სლავიას" მთელი ჯავრი მასზე იყარაო. მასპინძლებმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში, ტექნიკურ-ტაქტიკურად, სისწრაფით, კლასით, წარმოიდგინეთ, ფიზიკურადაც კი აჯობეს სტუმრებს.

„დინამომ" „თბილისს" გოლები პირველი ტაიმის შუაში გაუტანა და ამით ნახევარი საქმე გააკეთა... სტუმრები გატყდნენ და თითქოს ყურებიც ჩამოყარესო. არადა, წინა ტურში „დინამო" 25-ე წუთისთვის „ვიტ ჯორჯიასაც" 2:0 უგებდა და მატჩის ბოლოსკენლა შეძლო კიდევ ერთი, სამქულიანი გოლის გატანა. კიდევ ერთი მაგალითი, ოღონდ წინა ჩემპიონატიდან: პირველ ეტაპზე „თბილისი" „დინამოს" სწორედ ამ „ეროვნულზე" შესვენებამდე 2:0-ს უგებდა, თუმც მასპინძლებმა შეძლეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

ამჯერად „თბილისს" ერთგვარი რევანშის შანსი ჰქონდა, მაგრამ არ გამოუვიდა, „დინამომ" კლანჭები გაშალა და მეტოქეს მიახლოების შანსიც არ მისცა.

პირველი გოლი ჭაბუკმა გამთამაშებელმა გრიგალაშვილმა მას შემდეგ გაიტანა, რაც გონჩაროვის დარტყმული ხარიხას მოხვდა, ალადაშვილმა კი დასარტყმელად დაუგორა და მანაც შეუჩერებლად ბურთი ტყვიასავით მიაბრუნა დევაძის კარისკენ. დარტყმა უნაკლო გამოდგა.

გრიგალაშვილის გოლიდან ორი-სამი წუთი იყო ათვლილი და „თბილისის" მცველებს პოზიციური შეცდომა გონჩაროვმაც არ აპატია. მან ბურთი კარს ხარიხაზე ოდნავ ქვემოთ დაუმიზნა.

ათი წუთიც და „დინამომ" საკეთებელი დროზე ადრე მოათავა. ალადაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საპირისპირო ფლანგზე, კაკალაძისკენ გადაიტანა, დინამოელი ფორვარდი ერთი კი შეყოვნდა და თითქოს შეტევას სიმწვავე მოაკლდა, მაგრამ მსწრაფლვე მოიქნია ფეხი დასარტყმელად, ბურთი მცველს მოხვდა და... დევაძე უძლური იყო. ისე, გუნდი რომ ოთხ გოლს მიიღებს, მეკარის ბრალი კი არც ერთია, წარმოიდგინეთ, დაცვა და შუა ხაზი როგორ პასიურობდნენ.

„თბილისის" მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა თითქოს ცვლილებებიც არ დააგვიანა. პირველსავე ტაიმში სამხარაძე ფეხმტკივანი ჭელიძით შეცვალა. შესვენებაზე კი ფლანგელი ჰავბეკი გეწაძე და ფორვარდი ფიფია ჩართო საქმეში, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა, გუშინ „თბილისის" დღე არ იყო.

სათქმელია ისიც, რომ დევდარიანის პირველ შეცვლას წუთშივე გეგუჩაძის საპასუხო ნაბიჯი მოჰყვა. „დინამო" 2:0 იგებდა და მწვრთნელმაც შუა ხაზს კიდევ უფრო მეტი ძალა შემატა. გეგუჩაძემ გრიგალაშვილი კანკავათი შეცვალა, ვინც „სლავიასთან" ისე იბრძოლა, გადაღლის გამო „თბილისთან" სასტარტოში ველარ მოხვდა. თუმც, კანკავას გარჯა არც გუშინ დაეწუნებოდა. ბევრი მისი თანატოლისთვის სამაგალითო უნდა იყოს ჯაბას შრომისმოყვარეობა.

კანკავას მოედანზე შემოსვლით კი „დინამოს" ნახევარდაცვის შუაში ერთბაშად სამი ჩამშლელი შეიკრიბა და, ბუნებრივია, „თბილისსაც" ძალიან გაუჭირდა. მოქნილი და ტექნიკური სტუმრები მასპინძელთა მარწუხებს ვერასდიდებით გასცდნენ.

მეორე ტაიმი პირველზე უარესი საცქერი გამოდგა. ისედაც, არაქათგაცლილ ფეხბურთელებს დაღლა კიდევ უფრო დაეტყოთ და თანაც, ჰაერი იყო ჩახუთული.

„თბილისმა" მაინც გაიბრძოლა: თამაშის დამთავრებამდე 20-25 წუთით ადრე ოდიკაძემ გაისროლა შორიდან, რასაც მამალაძემ მუშტები შეაგება და ისე მოიგერია ბურთი კუთხურზე, მერე კი ფიფიას ჰქონდა კარგი საგოლე მომენტი, მაგრამ მცველმა დაასწრო. და ვიდრე გეწაძე გაიტანდა, „დინამომაც" გააცუდა ორი მომენტი: ჯერ კაკალაძის დარტყმული ქემოკლიძემ კარის ხაზიდან გამოიტანა, მერე დვალს აჯობა დევაძემ. გეწაძემ კი მიკუჩაძის გონივრული და გამოზომილი პასით ისარგებლა. საჯარიმოში შეჭრილმა ფიფიამ მცველთა ყურადღება მიიქცია და პასიც თითქოს მისკენ იყო მოსალოდნელი, მიკუჩაძემ კი ბურთი ფლანგიდან დაძრულ გეწაძეს უბოძა და მანაც შორეულ კუთხეში გაიტანა.

და თურმე ჯერ სად ხარ. „დინამოს" საქმე კიდევ არ დაემთავრებინა და ზუსტად 90-ე წუთზე საბოლოო წერტილიც დასვა. დვალი, რომელიც. იქამდეც ბევრს ეცადა, დევაძის ცხვირწინ უმეთვალყურეოდ დარჩა და სიმწრისგან ისე ძლიერად დაარტყა...

*გიორგი დევდარიანი.* „დინამოს" დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ. მეტოქემ დღეს ყველაფერში გვაჯობა. ჩვენ კი პოლონეთში „ლეგიასთანაც" ასე თუ ვითამაშეთ, შევრცხვებით. ამიტომაც ამ მატჩს დღესვე გავარჩევ და იმ უამრავ ნაკლს ვნახავ, რაც დღეს გვქონდა. უეფას მატჩების მერე „დინამო" ჩვენზე დაღლილი იყო, სტუმრად ითამაშა, თანაც გზაში ერთ დღეს შეყოვნდა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ამ თამაშისთვის ისინი უფრო მობილიზებულნი ყოფილან. ჩვენს შეცდომებზე კი ახლავე ვერ გიპასუხებთ. ჯერ მატჩის ფირს ვნახავ და დასკვნებს მერე გავაკეთებ.

*გია გეგუჩაძე.* სასიამოვნოა, რომ ასეთ ძლიერ მეტოქეს მოვუგეთ. ორივე გუნდს აშკარად ეტყობოდა უეფას თასზე თამაშის კვალი. ტემპიც ისეთი არ იყო, როგორიც გვსურდა. „დინამომ" გადამწყვეტი უპირატესობა მაშინ მოიპოვა, როცა პირველ გოლს მაშინვე მეორე მიაყოლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 13:3 | 9 |
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| თბილისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:11 | 3 |
| დილა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| კოლხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |
| ზესტაფონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |


გუშინ „ეროვნულზე" „დინამო"-„თბილისს" ზურაბ ხიზანიშვილმაც უყურა

# ნაკრებმა მოლდოვა დაიწყო
## ჟირესმა ხუთი სამით შეავსო

**მოლდოვასთან** ტირასპოლში 18 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის მზადებას საქართველოს ნაკრები დღეს დაიწყებს. გუნდი სასტუმრო „ბატესტაშში" 11 საათზე შეიკრიბება, საღამოს მწვრთნელი ალენ ჟირესი ჯერ პრესკონფერენციას გამართავს, მერე კი ფეხბურთელებს „დინამოს" დიღმის სამწვრთნელ ბაზაზე სავარჯიშოდ გაუძღვება.

სამოლდოვოდ ჟირესის გამოძახებულ 20-კაციან შემადგენლობას წინა კვირას ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი მოაკლდა.

ტრავმირებულები არიან და ტირასპოლში ვერ ითამაშებენ მოსკოვის „დინამოს" მცველი ოთარ ხიზანეიშვილი, კიევის დინამოელი ალეკო ამისულაშვილი, მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი, „თბილისისა" და „დინამოს" ჰავბეკები გოგიტა გოგუა და დავით კვირკველია. ჟირესმა მათ ნაცვლად დინამოელ დავით ჭიჭვეიშვილს და თბილისელებს თორნიკე აფციაურსა და რევაზ ქემოკლიძეს უხმო.

ასე რომ, მწვრთნელს შესარჩევი ეტაპის საპირველმატჩო რეპეტიციისთვის 18 ფეხბურთელი შერჩა. შესაძლოა, დღეს და ხვალ ჟირესმა ერთი-ორი ფეხბურთელიც მიიწვიოს, მაგრამ, ყველა შემთხვევაში მწვრთნელი ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას ვერც ამჯერად მოახერხებს.

იმ 18 ფეხბურთელიდან კი, რომელიც ჟირესს უკვე შეგულებული ჰყავს, ყველა ლეგიონერი თბილისში ჩამოვა. ზოგი გუშინვე ჩამოფრინდა, დანარჩენები კი დღეს ჩამოვლენ.

ეროვნული გუნდი დიღომში 16-17 აგვისტოს ივარჯიშებს, ხვალვე, ხუთ საათზე კი ტირასპოლში ჩარტერული რეისით გაფრინდება.

**კობა ინასარიძე**



„ამერის“ ექსკაპიტანმა და აწ მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ კაპიტნის სამკლავური გიორგი დავითნიძეს გადაულოცა

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი 16 ლიგა 1 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 15 მაისი. 17 საათი. ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა. 250 მაყურებელი

## ამერი 6:0 ცხინვალი

1:0 კაიდარაშვილი (24), 2:0 დეკანოსიძე (32პ), 3:0 კაიდარაშვილი (45), 4:0 სევასტოპულო (53), 5:0 წინამძღვრიშვილი (65), 6:0 კაიდარაშვილი (72)

ამერი: ნაჭყეპია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, სილაგავა, კაიდარაშვილი, დეკანოსიძე (ქარუჩავა 64), მჭედლიშვილი (ბჟალავა 60), დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 59), სევასტოპულო
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

დინამო 2: ქესანაშვილი, გოჩაშვილი, ქობესაშვილი, ხაჭაპურიძე, მაისურაძე, ჩიტაია, მოსიაშვილი (აბრამიშვილი 58), საყვარელიძე, ხოხობაშვილი (გამხუაშვილი 31), ბაკარანიძე (კაიდარაშვილი 56), ეჯოშვილი
მწვრთნელი: რობერტ ამბრიაშვილი

გაძევება: ქესანაშვილი (უკანასკნელი იმედის ჯარიმა, 30)

გაფრთხილება: ხვადაგიანი (83)

მსაჯები: დ. სანაია; გ. ვადაჭკორია, დ. ხარიტონაშვილი; ლ. ფანიაშვილი

# პასი ჰქონდა? ჰქონდა. დარტყმა ჰქონდა? ჰქონდა. გოლი ჰქონდა? ჰქონდა...

პაპუნა კედია

„ამერის“ ბინა ამ სეზონში „ეროვნულზე“ აღარ იქნება, პირველი ლიგის „ყვითელ“ წარმომადგენელს თავისი საფეხბურთო სკოლის მოედანი აქვს, გლდანში, მე-8 მიკრორაიონში. ერთი სიტყვით, გლდანელებო, თუ გსურთ, შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ თქვენი გუნდი გამოგიჩნდათ და 30 აგვისტოს თელავის „კახეთთან“ შეხვედრის სანახავად მობრძანდეთ, მანამდე კი ინებეთ: საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის თამაშები დაიწყო. „ამერმა“ „ცხინვალს“ უმასპინძლა და 6:0 დაამარცხა.

თამაშამდე კი „ამერმა“ და გლდანის სტადიონის ტრიბუნაზე შეკრებილმა გულშემატკივარმა ფეხბურთიდან გიორგი ჩიხრაძე გააცილეს. ერთი წლის წინ გიორგი ამ გუნდის კაპიტანი იყო, დღეს მწვრთნელია. იგი გახლავთ ფეხბურთელი, რომელმაც კარიერაში ოცდაოთხჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა, მონაწილეობდა 90-იანი წლების ისეთ ცნობილ შეხვედრებში, როგორებიც იყო მატჩები გერმანიისა და ინგლისის ნაკრებებთან, ხრისტო სტოიჩკოვის დროინდელ ბულგარეთთან და ბაჯოსდროინდელ იტალიასთან. „ამერის“ გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ბზიკაძემ გიორგი ჩიხრაძეს სამახსოვრო საჩუქრებით დაულოცა გზა ახალ, სამწვრთნელო სფეროში, სადაც მან, ცხინვალის რეგიონში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილის შემდეგ, უკვე საკუთარ გემოზე გაწვრთნილი გუნდით გადადგა ახალი და შთამბეჭდავი ნაბიჯი — ასე იმიტომ მოგახსენებთ, რომ, ჯერ ერთი, გასული სეზონის ბოლოს მოულოდნელად გამწვრთნელებული ჩიხრაძე, ბუნებრივია, თავის ნააზრევს თუ კრედოს მაშინვე სრულად ვერ წარმოაჩენდა და მეორეც, პირველ ლიგაში „ცხინვალთან“ დიდი ანგარიშით მოგება ხუმრობა არ არის.

ისე, ჩვენ თუ გვკითხავთ, ამ შეხვედრაში იმდენად მნიშვნელოვანი ანგარიშიც არ იყო, უფრო მთავარი „ამერის“ თამაში გახლდათ, რომელიც, ბუნებრივია, კიდევ დასახვეწია, მაგრამ თუ ამ ერთი მატჩით მსჯელობა შეიძლება, სახე, უფრო სწორად კი სახის კონტურები უკვე აქვს. აქვე არ შეიძლება, არ ითქვას, რომ „ცხინვალი“ თავისი საუკეთესო ფორმისგან შორს არის, რაც სხვადასხვა ასპექტზე, უპირველესად კი ფიზიკურ მომზადებაზე დაეტყო.

ვფიქრობთ, თამაშის ტაქტიკურ წვრილმანებზე შეჩერება არ ღირს, რადგან მაინც პირველი ტურის შეხვედრა იყო. მაგალითად, მოდით, ნურაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რატომ და როგორ მოხვდა ამერელი გიორგი სილაგავა ნახევარდაცვის შუაში, მაგრამ ვთქვათ, რომ იქ ძალიან მოხდენილად ჩაჯდა და თამაშს ეფექტურად დაეტყო. ვთქვათ, რომ მას შუაში შესვლის საშუალება შეუპოვარმა მცველმა ამირან კედელაშვილმა მისცა, ხოლო იქ საყრდენად სრულიად მოულოდნელად თავდამსხმელი ალექსანდრე კაიდარაშვილი ვიხილეთ. იქვე დიდი მონდომებით გამოირჩეოდა გიორგი დეკანოსიძე. მოდით, დაწვრილმანების გარეშე აღვნიშნოთ, რომ „ამერმა“, როგორც იქნა, ოთხი მცველით ითამაშა, ხოლო თავდასხმაში ყურადღებას სულიკო დავითაშვილი და დავით სევასტოპულო იპყრობდნენ. მეორე ტაიმში დავითაშვილი კარგად შეცვალა რატი წინამძღვრიშვილმაც...

30-ე წუთზე („ამერი“ უკვე იგებდა 1:0-ს) სევასტოპულომ რევაზ ხაჭაპურიძეს ბურთი წაართვა, მეკარე სერგო ქესანაშვილთან პირისპირ გავიდა და იქ გოლკიპერმა ნებსით თუ უნებლიეთ წააქცია. მოკლედ, მსაჯმა დავით სანაიამ პენალტიც დანიშნა და ქესანაშვილს წითელი ბარათიც აუფრიალა — წესია ასეთი. დეკანოსიძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმა შეაგდო, „ცხინვალი“ კი მოედანზე ათი მოთამაშით დარჩა, რამაც ჩვენი შეხედულებით ისედაც ფიზიკურად ცუდად მომზადებულ გუნდს დამატებით დაუმძიმა საქმე — განსაკუთრებით მეორე ტაიმში.

და უკვე ვშიშობთ, „ამერის“ და „ცხინვალის“ მიმოხილვამ გაზეთში ოლიმპიადაზე მეტი ფართობი არ წაგვართვას, ამიტომ შევეცდებით, დანარჩენი მოკლედ მოვჭრათ, თუმცა აუცილებლად აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე კაიდარაშვილმა (მისი ძმა გიორგი „ცხინვალში“ თამაშობდა) ჰეთ თრიკი შეასრულა, ხოლო „ამერის“ მეკარემ რევაზ ნაჭყეპიამ ზედ საფინალო სასტვენის წინ ორი ძნელი დარტყმა მოიგერია, დავით ეჯოშვილისა და გაგა ჩიტაიასი.



ალექსანდრე კაიდარაშვილის (მარჯვნივ) ჰეთ თრიკი ამ გოლით დაიწყო

**სპარტაკი 0:0 გურია**

**მადნეული 0:0 საგარეჯო**

**ივერია — მერანი** გადაიდო

# ლომაიამ დებიუტი გადადო



მოსკოვის „სპარტაკში“ ნატანჯ-ნაწვალები ქართველები, გიორგი ლომაია და ვალერი აბრამიძე რუსეთის პირველდივიზიონელ „ხიმკიში“ რომ გადავიდნენ, უკვე არაახალია. ჩვენებურებს ახალ გუნდში ჯერ არ უთამაშიათ — დებიუტი გუშინ „ორიოლთან“ მატჩში იყო დაგეგმილი, თუმცა... ლომაიას თვითმფრინავის ბილეთი უკვე აღებული ჰქონდა და გუშინ თბილისში ჩამოფრინდა. მის ხიმკურ დებიუტს ნაკრებმა „შეუშალა“ ხელი.

გიორგის თბილისში წამოსვლამდე შევეხმიანეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ...

— ყველა დეტალი შეთანხმებულია, მაგრამ „ხიმკის“ ჯერ ვერ შევეშველები. საქართველოს ნაკრებში ვარ გამოძახებული და კვირას თბილისში უნდა ვიყო. აბრამიძემ კი ითამაშა „ორიოლთან“.

— კონტრაქტი როდემდე გააფორმე?

— თუ პრემიერლიგაში გადავალთ, მაშინ 3 წელი „ხიმკის“ საკუთრება ვიქნები. თუ არა, სეზონის ბოლოს გუნდს დავტოვებ.

— ბოლო-ბოლო, ვისი საკუთრება ხარ?

— „სპარტაკის“ ყოფილ პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოს აქვს ჩემი გაყიდვის უფლება. „სპარტაკთან“ კი უკვე აღარაფერი მაკავშირებს.

— „ხიმკიში“ საიდან მოხვდი?

— ჩერვიჩენკო ამ გუნდი პრეზიდენტი გახდა.

— ეს ის გუნდი არაა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყოფილ კანდიდატ ანატოლი ბიშოვეცს რომ ეკუთვნოდა?

— კი, მაგრამ ბიშოვეცმა აქციები ჩერვიჩენკოს მიჰყიდა.

— სხვა ვარიანტები არ გქონდა?

— როგორ არა... „კრილია სოვეტოვი“, მოსკოვის „დინამო“ და „მოსკოვი“ აპირებდნენ ჩემს შეძენას.

— მერე?

— ჩერვიჩენკომ დიდი თანხა მოითხოვა. უფრო ზუსტად, იმ გუნდებს ჩემი, აბრამიძის და იგორ ტიტოვის შეძენა უნდოდათ. სამივე ჩერვიჩენკოს საკუთრება ვართ, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

— „ხიმკის“ რა შანსები აქვს პრემიერლიგაში გადასასვლელად?

— ჩვენსას ვეცდებით და ვნახოთ. ჯერ კიდევ ბევრი თამაშია დარჩენილი. ისე, პრემიერლიგაში თუ გადავედით, ტიტოვიც დაგვემატება და სერიოზული გუნდის გაკეთებაა ჩაფიქრებული.

კახა შალამბერიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge